17 მაისის დღის ანალოგიით კარგი იქნებოდა, რომ საქართველოს ეკლესიას დაეწესებინა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ლოცვის დღე!

— დეკანოზი ილია ჭიღლაძე —

საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 18 მაისი. 2018 წ. №104 (8505), | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.



სახელმწიფოს საფუძველი!

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა ილია მეორემ მრევლს ამაღლების დღესასწაული მიულოცა

მისი თქმით, ოჯახი სახელმწიფოს საფუძველია. **„ყველას გილოცავთ ამ დიდებულ დღესასწაულს — ამაღლებას უფლისა ჩვენის იესო ქრისტესი“.**

სიხარული გაუგებარია, როცა საყვარელი პიროვნება გშორდება შენ, მაგრამ მოციქულებს მუდამ ახსოვდათ — **„მე თქვენთან ვარ ყოველთა დღეთა ვიდრე აღსასრულისა“,** დღესაც მაცხოვარი ჩვენი ჩვენთან არს. მადლობა უფალს დიდი წყალობისთვის.

„დღეს კიდევ ერთი დღესასწაულია ოჯახის სიმტკიცისა და სიწმინდის დღე. ოჯახია საფუძველი სახელმწიფოსი, ქვეყნისა და ჩვენ შევთხოვთ უფალს, რომ ბედნიერი იყოს ჩვენი ოჯახები“, — აღნიშნა მან.

გუშინ 400-ზე მეტმა წყვილმა ჯვარი დაიწერა

17 მაისს 400-ზე მეტმა წყვილმა ჯვარი დაიწერა. ღონისძიებები დაგეგმილი იყო ქაშუეთის ეკლესიასთან, დაილოცა 300 ოჯახი, რომელთაც 6 შვილი ჰყავთ. საღამოს რუსთაველის თეატრში გაიმართა ღონისძიება, რომელიც მრავალშვილიან ოჯახებს მიეძღვნა.

მისმა უწმინდესობამ, საქართველოს პატრიარქმა გადაიხდა სამადლობელი პარაკლისი და კიდევ ერთხელ დალოცა ერი.

ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ იმ ადამიანების მკურნალობა, ვინც არის ნარკოდამოკიდებული

ამის შესახებ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქის მოსაყდრე მეუფე შიომ ქაშვეთის ტაძარში ქადაგებისას განაცხადა.

„ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ იმ ადამიანების მკურნალობა, დახმარება, ვინც არის დამოკიდებული, მაგრამ თავად ნარკოტიკი არის დიდი ცოდვა, შხამი და ბოროტება. რეალიზაციაზე იყო საუბარი, ეს ყოვლად დაუშვებელია, პირველ რიგში, ოჯახს ანგრევს, ოჯახის ტრაგედიას ქმნის. ამიტომ ამას უნდა შევეწინააღმდეგოთ“, — განაცხადა მეუფე შიომ.

— დღეს არის ოჯახის სიწმინდის დღე. ეს არის დღე, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დაგვიდგინა, როგორც ეროვნული დღესასწაული და მადლობას ვუხდით ამისთვის. როგორც არასდროს, ისეთი საჭირო იყო ბოლო წლებში ოჯახის სიწმინდის დაცვის დღე, ვინაიდან ოჯახის დანგრევის და განშორებათა სტატისტიკა არის საგანგაშო. სულ უფრო და უფრო მეტად გაისმის მოწოდებები ანტიოჯახური ღირებულებების დაკანონებისა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი შემაშფოთებელია. დღეს ჩვენ ვიკრიბებით, რომ დავიცვათ ოჯახური სიწმინდე, დავიცვათ ოჯახური ღირებულებები. ადამიანის უმთავრესი გზა ეს არის ოჯახური ცხოვრება. როცა ღმერთმა შექმნა ადამიანი, ის ოჯახად შექმნა, ადამიც და ევაც. ოჯახი ეს არ არის უბრალო ინსტიტუტი, როგორც ხშირად ამბობენ, ეს არის ყოფიერების ის ფორმა, რომელიც ღმერთმა შექმნა. ჩვენ ღმერთმა ასეთი ცხოვრებისთვის შეგვქმნა. ჩვენ ვიცავთ ყველაზე ძირეულს. ოჯახთან და მის ღირებულებებთან ბრძოლა არის ღმერთთან ბრძოლა, ადამიანის ამაღლებასთან, მის განწმენდასთან, ცხონებასთან ბრძოლა. უფალმა ინებოს არასოდეს დავთმოთ ოჯახური სიწმინდე, შევინარჩუნოთ და ეს არის საწინდარი ჩვენი ამაღლებისა, — განაცხადა მეუფე შიომ.

საქართველო და ტრამპის ადმინისტრაციის 16 თვე

⑧

ვინ არის ქართველ ფაშისტთა ფიურერი?!

④

ცეცხლ-გამძლე მოედანი

③

ბრიუსელში ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართა

ბრიუსელში, ნატოს ახალ შტაბბინაში, გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა მუდმივი წარმომადგენლების დონეზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის დავით ზალკალიანისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის ლელა ჩიქოვანის მონაწილეობით.

შეხვედრა მიეძღვნა 2018 წლის ბრიუსელის სამიტის მზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კომისიის სხდომაზე ხაზი გაესვა, რომ ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი შესაბამისად უნდა აისახოს ბრიუსელის სამიტზე ღია კარის პოლიტიკის კონტექსტში მიღებულ გადაწყვეტილებებში. წევრი ქვეყნების

მიერ აღინიშნა, რომ საქართველო არის წარმატებული ასპირანტი ქვეყანა და უკანასკნელი წლების განმავლობაში განხორციელებული რეფორმები კიდევ უფრო აახლოებს ქვეყანას ნატო-ში წევრობასთან.

ქართულმა მხარემ მოკავშირეებს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი რთული უსაფრთხოების გარემოს შესახებ. წევრი ქვეყნების წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და არაღიარების პოლიტიკის მიმართ. მოკავშირეებმა შეშფოთება გამოხატეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი რთული ვითარების გამო.

მათ განსაკუთრებით დადებითად შეაფასეს საქართველოს მიერ რეფორმების პროცესში მიღწეული შედეგები, მათ შორის დემოკრატიული ინსტიტუტების, ეკონომიკისა და შეიარაღებული ძალების გაძლიერების კუთხით. წევრი ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლები მიესალმნენ საქართველოს თანმიმდევრულ პოლიტიკას რუსეთთან კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით და საქართველოს მთავრობის ახალ სამშვიდობო ინიციატივას, **„ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“,** რომელიც მიზნად ისახავს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ თანამემამულეებთან ჩართულობის შემდგომ ამაღლებას. სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ნატო განაგრძობს საქართველოს პოლიტიკურ და პრაქტიკულ მხარდაჭერას ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში.

სხდომაზე განხილვის ერთ-ერთ მთავარ საკითხს ასევე წარმოადგენდა შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით საქართველოსა და ნატო-ს თანამშრომლობის პოლიტიკური და პრაქტიკული ასპექტები. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ თვალსაზრისით ალიანსის ძალისხმევაში საქართველოს კონტრიბუცია მნიშვნელოვანია და აღნიშნული მიმართულებით მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება. შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში ნატო-საქართველოს თანამშრომლობა იქნება ბრიუსელის სამიტის დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხი.

შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე რეფორმები და შეიარაღებული ძალების სამომავლო განვითარების გეგმები. ხაზი გაესვა ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებაში ნატო-ს ქმედითი მხარდაჭერის მნიშვნელობას. ასევე საუბარი შეეხო ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის მიმდინარეობას.

კარგად არიან მოწყობილები ნაცებიც და ქოცებიც...

კარგად არიან **მოწყობილები, ეს ნაცებიც და ქოცებიც. რამდენიმე ნაცი ციხეში არის ჩასმული და ეს ქოცები რაღაცას დააშავებენ და გეგონება, ყველა დანაშაული გაუქარწყლდათ,** – ეს განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა გააკეთა.

გიორგი მარგველაშვილმა ყოფილი მაღალჩინოსნების შეწყალების საკითხთან დაკავშირებით, „ნანუკას შოუში“ ისაუბრა. წამყვანის კითხვაზე, რატომ არ იწყალებს ბაჩო ახალაიას და ვანო მერაბიშვილს, რომელთაც სასჯელის ნახევარზე მეტი მოხდილი აქვთ, გიორგი მარგველაშვილმა თქვა, რომ დანაშაული და ბრალდება მათ მიმართ წაყენებული საკმაოდ მძიმეა.

რაც შეეხება სტრასბურგის სასამართლოს მიერ ვანო მერაბიშვილის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას, მარგველაშვილი ამბობს, რომ ის ეხებოდა მისი ციხიდან გაყვანის საკითხს და არა მის უდანაშაულობას.

ასტანაში საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე იზეიმეს

16 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება ყაზახეთის რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართა. მშვიდობისა და თანხმობის სასახლეში შეკრებილი ოფიციალური პირების და მიწვეული სტუმრების წინაშე ჯგუფი „ინსაითი“ და ნინო ქათამაძე წარდგნენ. ქართველი მომღერლის ორიგინალური შესრულების მანერამ დარბაზი აღტაცებაში მოიყვანა.

დამოუკიდებლობის საიუბილეო ღონისძიება ასტანაში საქართველოდან ოფიციალური დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა. დელეგაციას საქართველოს ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე ხელმძღვანელობს.

პირველი ბაზირებული რეისი ქუთაისიდან

გუშინ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ქუთაისი-ათენი-ქუთაისის პირველი ბაზირებული რეისი შესრულდა. ავიარეისი Wizz air-ის მეორე ბაზირებული, A 320 ტიპის თანამედროვე საჰაერო ხომალდით განხორციელდა. პირველი რეისის მგზავრებს ქართული ღვინო, ბორჯომი, სარაჯიშვილის კონიაკი და ტკბილეული დაურიგდათ.

ქუთაისის დავით აღმაშენებლის საერთაშორისო აეროპორტში ოპერირება Wizz air-ის მეორე ბაზირებულმა თანამედროვე საჰაერო ხომალდმა დაიწყო, რომელიც რეგულარულ ფრენებს ესპანეთის, საფრანგეთის, ჩეხეთის, იტალიის და საბერძნეთის მიმართულებით შეასრულებს. Wizz air ასევე, ქუთაისიდან ბერლინისა და დორტმუნდის მიმართულებით სიხშირეებს ზრდის.

ამასთან დაკავშირებით ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში დაგეგმილ ღონისძიებაზე სიტყვით პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ დირექტორი ქეთევან ალექსიძე და უნგრული დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია Wizz air-ის მარკეტინგის დირქტორი იოჰან ეიდჰაგენი გამოვიდნენ.

კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ საგანგებო განცხადება

კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი“ ეხმიანება დედაქალაქის მერის მიერ გაცემულ დავალებას კომპანიის ავტოპარკში კონდიცირების სისტემასთან დაკავშირებული ტექნიკური გაუმართაობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით და გაცნობებთ, რომ „თბილისის მიკროავტობუსმა“ ზაფხულის პერიოდისთვის მზადება ჯერ კიდევ მარტის თვიდან დაიწყო და მთლიანად ავტოპარკში მიმდინარეობს დაზიანებული ან მწყობრიდან გამოსული ჰაერის გამაგრილებელების შეკეთება-შეცვლა, ასევე ჰაერის ტემპერატურის მატებასთან დაკავშირებით „თბილისის მიკროავტობუსის“ მიერ ყველა მძღოლს მიეცა კეტეგორიული მითითება, ავტოსატრანსპორტო საშუალებაში ჩართოს კონდიცირების სისტემა. „თბილისის მიკროავტობუსი“ სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ავტოპარკის თითქმის მთლიან შემადგენლობაში კონდიცირების სისტემა მოწესრიგებულია და ასევე მძღოლები ისარგებლებენ საზაფხულო საშეღავათო სისტემით, რაც გაგრილების საშუალების ჩართვის შედეგად საწვავის მატების ხარჯს მთლიანად ფარავს. გარდა ამისა, მძღოლების ის ნაწილი, რომელთა მიმართებაშიც ცხელი დღეების განმავლობაში არ დაფიქსირდება პრეტენზია მონიტორინგის სამსახურში, დამატებით იქნებიან კომპანიის მიერ წახალისებულნი.

პროექტები ბინათმესაკუთრეთა თანადაფინანსების ახალი წესებით

ისნის რაიონის გამგეობამ ბინათმესაკუთრეთა თანადაფინანსების ახალი წესის მიხედვით, პროექტების განხორციელება დაიწყო.

სამუშაოები ოთხ მისამართზე ხუთი ტიპის პროექტს მოიცავს. მათ შორის, მოსკოვის გამზირის №3-ში მდებარე ოთხსადარბაზოიანი საცხოვრებელი კორპუსის ქანობიანი სახურავის რეაბილიტაცია და წყალსაწრეტი მილების შეცვლის სამუშაოები; ვაზისუბნის მე-8 ლეგიონში, III მიკრორაიონის №3 კორპუსში წყალარინების შიდა ქსელის შეცვლა; ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის №144-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსში დაზიანებული წყალგაყვანილობის ქსელის შეცვლა და ნავთლუღის ქუჩა №24-ში მდებარე №3 კორპუსში წყალარინების შიდა ქსელის შეცვლის სამუშაოები.

გამგეობის მიერ თანადაფინანსებულ სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანიები ასრულებენ, ხოლო მათი საერთო ღირებულება 75 106 ლარია.

ქართული კომპანიები „CASPIAN AGRO 2018“ გამოფენაზე

ბაქოში, აგროსამრეწველო სექტორის მე-12 საერთაშორისო გამოფენაზე „Caspian Agro 2018“ ქართულმა კომპანიებმა საკუთარი პროდუქცია წარმოადგინეს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელშეწყობით მოწყობილ ქართულ სტენდზე წარმოდგენილი იყო შპს „თაფლიკაცის“, „გიუაანის“, „მადლიანი 2017-ის“, „კულას“, „ნუტრიმაქსის“, „მზა ჩითილის“, „ველინგტონის“, „თამარის“ მიერ წარმოებული ქართული პროდუქცია. გამოფენაზე „Caspian Agro 2018“ მოწყობილი ქართული კუთხე და სტენდი აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა მთავრობის წევრებთან ერთად დაათვალიერა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ სოლომონ პავლიაშვილმა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს და მთავრობის წევრებს ქართულ სტენდზე წარმოდგენილი უნიკალური ქართული ვაზის ჯიშებისგან წარმოებული ღვინოები გააცნო. ილჰამ ალიევმა ქართული აგროსასურსათო პროდუქციის აზერბაიჯანში პოპულარიზაციის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრს ქართულ მხარესთან ურთიერთობის გააქტიურებისკენ მოუწოდა.

ცეცხლ-გამძლე მოედანი

12-13 მაისის მოვლენებზე საზოგადოებამ უკვე ყველაფერი დაწვრილებით იცის, ამიტომ თანამიმდევრობით ყველაფრის მოყოლას აზრი არა აქვს. მე მხოლოდ რამდენიმე მომენტს მინდა, ხაზი გავუსვა.

იმ დღეს რუსთაველზე, პარლამენტის შენობის წინა მოედანზე, პირდაპირ საანეკდოტო ვითარება იყო შექმნილი: ერთმანეთის პირისპირ იდგა აქცია და კონტრაქცია, მათ შორის კი ჭირის ოფლში იწურებოდა პოლიცია, რომელიც მართლაც დევგმირულად იდგა, რათა მოქალაქეებს ერთმანეთი არ დაეგლიჯათ.

ვიყოთ გულწრფელნი. მიუხედავად იმისა, რომ აქციის მონაწილენი განუზომლად მეტნი იყვნენ კონტრაქციის შემადგენლობასთან შედარებით, გალახვის და დარბევის შანსი სწორედ „აქციონერებს“ ჰქონდათ, მაგრამ საბედნიეროდ, მოალყეებმა ვერა და ვერ გაარღვიეს პოლიციის კედელი. ვთქვათ პირდაპირ: პოლიციამ იმ დღეს, საყოველთაო მოწონება დაიმსახურა, თავისი სწორი მოქმედებით ქვეყანას თავიდან აარიდა მსხვერპლი, რაც შეიძლება, 9 აპრილზე ნაკლები არ ყოფილიყო.

მართალია აქციასა და კონტრაქციას პოლიტიკური განსხვავებულობა არ ჰყოფდა ერთმანეთისგან, მაგრამ ის, რაც აშორიშორებდათ, არანაკლებ მძაფრი იყო — ერთმანეთის სიძულვილი.

აქცია მტკიცედ ერთსულოვანი იყო: იქ ძირითადად, დარბეული ღამის კლუბების ჭირისუფალნი, ე.წ. ხელისუფლების ნარკოპოლიტიკის მაჯისცემაზე გაფაციცებით დაყურადებულნი, ანუ ზოგადად თუ ვიტყვით, ნარკომომხმარებელნი და მათი მხარდამჭერები, ან მათ ფეხის ხმას აყოლილი ახალგაზრდა და ამ თავქარიან ასაკს კარგა ხანია გადაცილებული კაცები და ქალები იდგნენ.

აქციის წევრები დაჟინებით მოითხოვდნენ თავისუფლებას. ასევე ერთსულოვანი იყვნენ კონტრაქციის მონაწილენი: აცხადებდნენ, რომ „თავისუფლებამოწყურებულთ“ უფლება არ ჰქონდათ იმ ადგილზე დგომისა, სადაც 9 აპრილს ეროვნულ გმირთა წმინდა სისხლი დაიღვარა.

აქ ცალკე უნდა შევჩერდეთ მთავარ მოთხოვნაზე — თავისუფლებაზე.

* * *

დიდებული რამ არის ეს თავისუფლება, რომელიც ჩვენი თანამოქალაქეების სულს, ისე მოსწყურდა, ვით ირმების ჯოგს წყარო ანკარა“, მაგრამ...

რისი თავისუფლება?

ვისი თავისუფლება?

ვისგან და რისგან თავისუფლება?

ახლა გლდანის ციხის პატიმრებმა რომ თავისუფლება მოითხოვონ, სრულიად გასაგები იქნება, რა სურს იმ ხალხს, თუმცა ალბათ, ციხის მთელ კონტინგენტს თავისი ზიგზაგოვანი ბიოგრაფიის გამო არც ექნება ამის მოთხოვნის მორალური უფლება, მაგრამ მაინც.

ერთი სიტყვით, როცა ხალხმრავალი აქცია სკანდირებდა „თავისუფლებაო“, ცოტა ძნელი გასარკვევი იყო, კონკრეტულად რას ითხოვდა ის ხალხი, რომელთა შორისაც დაკვირვებული თვალი აშკარად შეამჩნევდა არა მცირედ ნაწილს „დაბოლილებისას“, რომელთაც თავისუფლების სიმცირის ნიშანწყალი არ ემჩნეოდათ, პირიქით, უკიდეგანო თავისუფლება ეღვრებოდათ თავზე სიუხვის რქით.

როცა 29 წლის წინათ ამ მოედანზე სასიკვდილოდ თავგადადებული ზღვა ხალხი მოითხოვდა თავისუფლებას, ყველაფერი გარკვეული იყო — ვისგან და რა თავისუფლება იყო ეს. აქ კი მოთხოვნა სწორედ რომ რებუსს ჰგავდა და ძალაუნებურად გაკვალიანებდა, ალბათ ნარკოტიკების მოხმარების თავისუფლებაზეა ლაპარაკიო.

ამიტომ იყო, რომ პოლიციის კორდონს გადაღმა მყოფი ხალხი აშკარა სიძულვილს გამოხატავდა მომიტინგეთა მიმართ. არ დაგვავიწყდეს, რომ ისინი მხოლოდ „ქართული მარშის“ წევრები ან „შავხალათიანები“ არ იყვნენ, რიგითი მოქალაქენი, განაცქოცებისგან თავისუფალი ადამიანებიც უხვად ერივნენ.

ჩვენ საზოგადოებას „თავისუფლების“ მოთხოვნით ვერც გააკვირვებ და ვერც ბრმად აკვრევინებ ტაშს. ისიც გვახსოვს, როგორ „მოვითხოვდით“: „თავისუფლება ანჯელა დევისს“, „თავისუფლება მანოლის გლეზოსს“ („ხმები მოედო ქუჩას და ეზოს, თავისუფლება მანოლის გლეზოსს“, ერთმა სწრაფი რეაგირების პოეტმა (ასეთები მაშინ უხვად იყვნენ და დღესაც მოიძებნებიან) „ხალხის სულისკვეთება“ უმალ ჩამოქნა ლექსად).

ამ მიტინგის შემხედვარე მართლაც ვერ იტყოდი, თავისუფლება ლომთა ხვედრიაო!

* * *

საოცარია, როგორ შეიძლება ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვანაირად აღიქვას ორმა სხვადასხვა კაცმა (შესაბამისად ასმა, ორასმა, ათასმა ან ათიათასმა).

უახლესი მაგალითი შაბათ-კვირის აქციიიდან:

პარლამენტის წინა მოედანზე მდგარ 9 აპრილის მემორიალზე აბობღდა ვინმე ანა სუბელიანი, აქციის ერთ-ერთი აქტიური წევრი, და როკვა დაიწყო. პირდაპირი მნიშვნელობით ეს ცეკვა არ იყო, ტანსრული დედაკაცის სწორედაც რომ ერთობ უმსგავსო როკვა-თანთალი იყო. სხვათა შორის შეკრებილ საზოგადოებას თავისი ქცევით, მანერებით და მეტყველებით (რამდენჯერმე ვიხილეთ ტელეეკრანზე) უმწიფარი თინეიჯერი ეგონა, არადა 8 წლის შვილის დედა კი ყოფილა („ჰოი, დედანო“...)

ამ „როკვას“ ტაშით შეხვდნენ აქციის მონაწილენი, იმავდროულად ძალიან გაღიზიანდა აქციის მთელ პარამეტრზე შემოწყობილი კონტრაქცია.

— ცხრა აპრილის მსხვერპლთა .მემორიალზე აძრომამ და იქ გავის ქნევამ, შეურაცხყოფა მიაყენა დაღუპულ გმირებს და ჩვენ, მათ მემკვიდრეებსაც — განაცხადეს „ქართული მარშისა“ და „ეროვნული ერთობის მოძრაობის“ მონაწილეებმა და მათ გვერდით მდგომმა „უპარტიო“ მოქალაქეებმა.

— 9 მარტის გმირები იმიტომ დაიღუპნენ, რომ მათი მომდევნო თაობა თავისუფლებით დამტკბარიყო, ის ეკეთებინა, რაც სურს და როგორც სურს — ასე შეაფასეს აქციის მონაწილეებმა დაქალის გამოხდომა:

აი, ასე: ერთი ფაქტი, ორი, რადიკალურად განსხვავებული შეფასება (თუმცა, ვფიქრობთ, პირველი მოსაზრება აშკარად მართებულია).

* * *

პარლამენტის წინა მოედანი სწორედ რომ განსაკუთრებული მოვლენაა ჩვენს ისტორიაში, რამდენი მიტინგი და ურთიერთდაპირისპირება ახსოვს მის ქვაფენილს. დღეს ნარკომოხმარების თავისუფლებას ითხოვენ, ხვალ — ახალი ტალღა წამოვა ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების მოთხოვნით.

ერთი სიტყვით, თბილისური ჰაიტპარკია..

სწორედ რომ ცეცხლგამძლე მოედანია.

* * *

ახლა ორი სიტყვა მედიაზე:

შეუდარებელმა, განსაცვიფრებელმა ნანუკა ჟორჟოლიანმა ფეისბუქზე სოციალურ ქსელში რევოლუციური სტატუსი დადო: **„რაც შეეხება 9 აპრილის მემორიალზე ცეკვას, ამისთვის იღუპებოდნენ ისინი, ამ თაობის თავისუფლებისთვის და ესენიც ამ თავისუფლებას არ გითმობენ სწორედ. ვერ პატიობთ, რომ თქვენნაირები არ არიან, ვერ პატიობთ, რომ ცხვირზე საყურე უკეთიათ“.**

ამ ჟურნალისტი ქალბატონის ლოგიკის სიმწირეს და აზრობრივ სიღატაკეს თავი რომ დავანებოთ, აქ მთავარი ის არის, რომ „ისინი“ (9 აპრილს დაღუპულები) თურმე ამ თაობის „თავისუფლებისთვის“ იღუპებოდნენ. კი, მართლაც მომავალი თაობის თავისუფლებისთვის დადეს თავი, მაგრამ მოდით მკაფიოდ გამოვკვეთოთ, დამისამართებით მაინც რომელ თაობაზეა ლაპარაკი, რადგან აშკარად ჩანს, რომ „ამ თაობასა“ და „თქვენნაირებს“ შორის დიდი სხვაობაა, ფაქტობრივად, სულ სხვადასხვა ხალხი მოიაზრება. მთავარი კი ის არის, რომ „ისინი“ კარგები არიან, „ესენი“ კი ცუდები. ამიტომ „ესენი“ „ისენებს“ თავისუფლებას არ უთმობენ, ვერ პატიობენ, რომ „ისინი“ „ესენებისნაირნი“ არ არიან, რომ ცხვირზე საყურე უკეთიათ. ამ კარგებსა და ცუდებს შუა თავგანწირულად დგას ნანუკა და ქართველებს თავისი კოჭლი ალღოს მიხედვით ახარისხებს ამ უბადრუკ ქართველებს, რომლებსაც დამოუკიდებლად მჭადიდან ნახშირის გამორჩევაც არ ძალუძთ.

ერთი სიტყვით, ქალბატონი ნანუკა ამ „ესენში“ აშკარად ნარკომოხმარების თავისუფლებისთვის მებრძოლთ გულისხმობს და რაღა თქმა უნდა, თავის სიმპათიას აშკარად მათკენ წარმართავს.

აი, „რუსთავი-2“-ის ეკრანზე კი ორი მთავარი მავნე — გიორგი გაბუნია და ნიკა გვარამია ჯეჯილობდნენ, გვერდში ბოროტი ყვავილივით ეკა კვესიტაძე მოესვათ და ჰიპნოზს უკეთებდნენ საზოგადოებას. ისინი ფორმალურადაც, „ზრდილობის გულისთვისაც“ არ იცავდნენ ჟურნალისტურ ნეიტრალიტეტს და ისეთ გესლს ანთხევდნენ, ეკრანებს სულ ტკაცატკუცი გაუდიოდა.

რატომღაც მათთან ერთად იჯდა ახალგაზრდა მწერალი ლაშა ბუღაძე და ისიც თავის წილ იწყევლებოდა(?!).

მთავარი ის არის, რომ ეს მოღვაწენი პიტალო მიკერძოებით ირჯებოდნენ, თორემ ერთი წვეთი სიმართლეც რომ ამოსვლოდათ პირიდან, ვის რა ექნებოდა საწინააღმდეგო.

ჩვეულებისამებრ საომარი პოზიცია ეკავა ინგა გრიგოლიას. იჯდა სტუდიაში როგორც მეხთამტყორცნელი ზევსი და სწორედ ზევსივით მჭექარედ აძლევდა დავალებებს აქციაზე მყოფ თავის მუშაკებს.

მისი მთავარი დავალება კი ერთადერთი იყო: აქციის მონაწილეებმა ულტიმატუმი რომ წაუყენეს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირკიაშვილსა და შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას, თუ საღამოს 10 საათამდე ჩვენს მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ, უსიკვდილოდ უნდა გადადგნენო, კონკრეტულად როგორ აპირებენ ამას, მთელ ძალებს მათ გადადგომას ხომ მოახმარენო. აზრი ხომ არ შეუცვლიათო. „ტვ პირველის“ ეკრანიდან რეპორტაჟის დროს ეს კითხვა „ინსტრუქტაჟის“ თანხლებით რატომ ოცჯერ არ გაიმეორა თავისი განუმეორებელი სალდაფონური დიქციით და იგი იმ დღეს ყველაზე ნირწამხდარი ტელეჟურნალისტი იყო მსოფლიოში, რომ „თავისი“ მაყურებელი ვერ გაახარა საქართველოში არეულობისა და ახალი სამოქალაქო ომის დაწყების მიხარება-მილოცვით.

ცხოვრება გრძელდება, ინგა, გულს ნუ გაიტეხ, იქნებ, მომავალში შეძლო ეს!

* * *

საზოგადოებისთვის იმ მღელვარე დღეების „აღმოჩენა“ მაინც საქართველოს ეროვნული ერთობა — ქართველი ნეონაცისტები, შავხალათიანები იყვნენ.

ისინი პირველად ვიხილეთ ღიად, დაუფარავად, ფართო მასშტაბით.

მათი ლიდერი (არაფერი დაშავდება თუ დამისამართებულად ფიურერს ვუწოდებთ) გიორგი ჭელიძე არ „იმტვრევა“ და თავს ქვიშაში არ მალავს.

შავი ხალათები, წითელი სამკლაურები, კინოფილმებიდან ასე ნაცნობი მისალმება...

ძალაუნებურად გაგახსენდება გერმანელი და იტალიელი მოიერიშეები, ოღონდ წითელ სამკლაურზე შავი ჯვარი სვასტიკის ნაცვლად, მისალმება — „ზიგ ჰაილ“!

— ჩვენ მოწოდებული ვართ ხალხის სიმშვიდის დაცვისთვის!

აგაშენოთ ღმერთმა! ოღონდ მიუნხენის ლუდხანებში ერნტ რემის მოიერიშეებიც თავიდან ამას აცხადებდნენ, მერე თანდათან აიღეს ხელში კეტები, ველოსიპედის ჯაჭვები...

ამრიგად, ნეონაცისტები ჯერჯერობით მხოლოდ სამშობლოში სიწყნარის გუშაგებად აცხადებენ თავს. სამართალდამცველების დიდი ძალისხმევაა საჭირო, რომ „დაანონსებული“ ჩარჩოებიდან არ გამოვიდნენ. ყოველ შემთხვევაში იმ დღეებში ისეთი არაფერი ჩაუდენიათ, ახლა რომ წაესივნენ აქციის მონაწილენი და მათ დასჯას ითხოვენ განცდილი შიშის საკომპენსაციოდ.

საერთოდ კი სამომავლოდ ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი. პირველი ის, რომ ისეთი ოდიოზური აქციისთვისაც კი, როგორიც ნარკოლიბერალიზაციის მოთხოვნაა, აგდებით, ხელის აქნევით ლაპარაკი, მიყურისძირება არ შეიძლება. ამ აქციის ლიდერები, ვთქვათ ბექა წიქარიშვილი და ბაია პატარაია, დღეს შეიძლება ღიმილს იწვევდნენ, მაგრამ ხვალ იქნებ ქვეყანა ნაპრალში გადაჩეხონ.

ამიტომ ვიწონებ შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი გახარიას ძალისხმევას იმ დღეთა საქვაბიდან ორთქლის გამოსაშვებად.

დღეს კი, მაგრამ ხვალ?

ალეკო ასლანიშვილი

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲗᲐ ᲤᲘᲣᲠᲔᲠᲘ?!

32 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲔᲚᲘᲫᲔ ერთი წელია, რაც ქართულ ფაშისტურ ორგანიზაციას ჩაუდგა სათავეში. ძნელი სათქმელია, მთავარი გავლენა იმ ფაქტორმა მოახდინა თუ უბრალოდ შემთხვევითი დამთხვევაა, რომ ის და მსოფლიო ფაშიზმის ფუძემდებელი მუსოლინი ერთ დღეს არიან დაბადებული, მაგრამ ფაქტია, რომ გიორგი და მისი მიმდევრები მუსოლინის კვალს მიჰყვებიან. ქართულ ორგანიზაციას, რომელსაც ქალებიც შეუერთდნენ, წესდება, იერარქია, მილიტარისტული პროპაგანდა, რასისტული განცხადებები და ის წესები აქვს, რაც მსოფლიო ფაშიზმს და დარღვევის შემთხვევაში, მკაცრად ისჯება. ფაშისტური მისალმება, „ფიურერები“, სათათბირო დარბაზი და ეს ყველაფერი, ერთი შეხედვით, დიდი ბიჭების პატარა თამაშს ჰგავს, თუმცა, როგორც ჩვენი რესპონდენტი ამბობს, ეს თამაში, გარკვეული დროის შემდეგ მიზანთან აუცილებლად მივა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲔᲚᲘᲫᲔ: პროფესიით საერთაშორისო ურთიერთობებისა და საგარეო პოლიტიკის მაგისტრი ვარ. სამოქალაქო აქტივობებში ადრეული პერიოდიდან ჩავერთე, თუმცა არცერთ პოლიტიკურ პარტიაში არ ვყოფილვარ. ვიყავი „ქართული ოცნების“ აქტიური მხარდამჭერი და ჩემს უბანში გარკვეული გავლენაც მქონდა. ვმუშაობდი ფინანსთა სამინისტროში, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ ჩემთვის მიუღებელი ორი კანონი დაამტკიცა, მივხვდი, რომ კურსი, რომელიც ხელისუფლებას ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის პერიოდიდან აქვს, არ შეიცვლებოდა. ჩემი ხელით დავწერე განცხადება და წამოვედი. ერთი წელია, რაც „საქართველოს ეროვნული ერთობა“ დაფუძნდა. ხმაური და სკანდალი ჩვენს ორგანიზაციას დაარსებიდან მოჰყვება. თბილისში ასი ადამიანი გვყავს გაერთიანებული. რეგიონებშიც არიან ჩვენი წევრები, რომელთა რიცხვი უფრო და უფრო იზრდება. ჯერ არ გვაქვს ოფისები და ძირითადად, სტადიონებზე, სკვერებში ვიკრიბებით. ჩვენი ორგანიზაციის დაფუძნება უკავშირდება იმ რეალობას, რომელშიც დღეს ქართველი ერია, შეიქმნა პლატფორმა, რომელზედაც ჩვენი ორგანიზაცია დგას. გაეროს მონაცემების მიხედვით, 2050 წელს საქართველოში განახევრდება ეთნიკურად ქართველი, ჩევნ შეყვანილი ვართ მომაკვდავი ერების ხუთეულში, რაც, ჩემი აზრით, საგანგაშო სიგნალია. ადრე, როდესაც ქართველი უცხოელს მიყვებოდა ცოლად, მის ნაშიერს იმ ქვეყანაში ზრდიდა, სადაც თხოვდებოდა, დღეს სხვა რამ ხდება. ქართველი ქალი, რომელიც ზანგსა და ირანელს საქართველოში მიმრავლებს, ერის მოღალატეა. საქართველო ქართველების ქვეყანაა. კი, ბატონო, მოვიდნენ სტუმრად, ტურისტად, მაგრამ, როგორც მოსვლით გვახარებენ, ისე წასვლით გაგვახარონ.

— თქვენი ორგანიზაცია ფაშისტურ მოძღვრებას ეფუძნება, ფაშისტური ატრიბუტიკა, მისალმების ფორმა, მკაცრი წესდება და აგრესიული პოლიტიკა — მაშინ, როცა კალენდარზე 2018 წელია, თქვენ შავკანიანებს ზანგებს უწოდებთ და ქართველებს შეიარაღებისკენ მოუწოდებთ.

— ზანგი შოთა რუსთაველის მიერ საუკუნეების წინათ გამოყენებული სიტყვაა, ასევე, სულხან-საბა ორბელიანისა. არა მგონია, მათზე დიდი მოღვაწეები ბევრი გვყავდეს, პირიქით, კანის ფერზე აქცენტი, უფრო დიდი შეურაცხყოფა მგონია, ვიდრე ზანგი. ჩვენ ვცხოვრობთ ჩვენს ფესვებთან. ჩვენ „ვაწვებით“ ფაშიზმს და ნაციონალ-სოციალიზმს, ჩვენ ვართ ამ მიმდინარეობის მიმდევრები. მიუხედავად იმისა, კალენდარზე 2018 წელია, არ ვფიქრობთ, რომ ჩვენი იდეები არ არის თანამედროვე და პროგრესული. ჩვენ არ ვართ აგრესიული ძალა, ფაშიზმი არის ეროვნული იდეის სრულყოფა. ჩვენ ქართველ ფაშისტებს გვეძახიან, რაც ჩემთვის დიდი პატივია, სხვათა შორის, მე და მუსოლინი ერთ დღეს ვართ დაბადებული, რაც ძალიან სასიამოვნოა. ფაშიზმი ხომ საერთოდ მუსოლინის მოგონილია. ჩემთვის გმირია ყველა ის ქართველი ფაშისტი, ვინც გერმანიის მხარეს იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში. ჩვენი ორგანიზაცია მსოფლიო პროცესების თანამდევია, ყველა ვხედავთ, რა ხდება ევროპაში, ამერიკაში. ეროვნული იდეა რომ ჭეშმარიტებაა, ამას მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიც ადასტურებს, ეროვნული იდეის სრულყოფა მოიცავს ერის ტრადიციებს, მორალს, ეთიკას, ეკონომიკას, რელიგიას, განათლებას, ეს ყოვლისმომცველი იდეოლოგიაა. ფაშიზმი და ნაციონალ-სოციალიზმი დემონიზირებული იქნა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული კომუნისტებისა და ლიბერალების მიერ, თორემ ფაშიზმი, წარმოდგება იტალიური სიტყვისგან — ფაციო, რაც ნიშნავს ერთობას. ასე, ერთ კონად შეკრულია ჩვენი საზოგადოება.

— როგორ ხვდებიან ადამიანები თქვენს რიგებში და ქალი წევრებიც თუ გყავთ?

— ჩვენთან მოსულ ადამიანებს უწევთ მკაცრი წესების გავლა, ნაცნობობით და დაძმობით ჩვენთან ვერ ხვდებიან, ყველას არ ვღებულობთ, ხუთიდან მხოლოდ ერთი მსურველი შეიძლება, გახდეს ჩვენი ორგანიზაციის წევრი, მკაცრი და სასტიკი წესდება გვაქვს, რომლის დარღვევის შემთხვევაში, ორგანიზაციიდან ირიცხებიან. ადამიანებს, ვინც ხდებიან ჩვენი წევრები, უნდა ჰქონდეთ ფაშისტური იდეოლოგია, ის აუცილებლად უნდა გამოიცადოს ერთგულებაში, ეს ჩვენი შიდაგანაწესია, რომელზეც ვერ ვისაუბრებ. ორგანიზაციის წევრები თავისი ადამიანური რესურსით ხვდებიან სხვადასხვა მიმართულებებში — იდეოლოგიის, პროპაგანდის, „დამრტყმელი ძალის“ და ასე შემდეგ. მაგალითად, შავპერანგიანმა აუცილებლად უნდა ჩაბაროს ფიზიკური მომზადება, რასაც, რა თქმა უნდა, არ ვთხოვთ ქალბატონებს, რომლებიც ჩვენს რიგებში უკვე მრავლად არიან.

— რა დარღვევებისთვის რიცხავთ ორგანიზაციის წევრებს?

— საკმაოდ მკაცრია მოთხოვნები — აკრძალულია დაუმორჩილებლობა, თვითნებობა, დისციპლინის დარღვევა, რასის შერევა... ჩვენი ორგანიზაციის წევრს არა აქვს უფლება, მოიყვანოს ზანგი ცოლი ან, უბრალოდ, შეუყვარდეს ასეთი ვინმე. სასურველია, ქართველი ქართველზე დაქორწინდეს, სხვა ერზე, მაგრამ თეთრი რასის წარმომადგენელზე ქორწინება, საპატიოა. მე ჯერ არ ვარ დაქორწინებული, მაგრამ როცა დრო მოვა, ეს ჩემთვის გადამწყვეტი ფაქტორი იქნება. ორგანიზაციაში ქალებს და მამაკაცებს განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს, არ შეიძლება მათ ერთმანეთის მიმართ სიმპათია და ემოცია გამოხატონ, შეეხონ ერთმანეთს, როცა ყველა ერთად ვართ, თუმცა, ორ ფაშისტს თუ ერთმანეთი შეუყვარდება, ამას რა ჯობია, უბრალოდ, ორგანიზაციაში ყოფნის დროს პირადი გრძნობები და სიყვარული არ უნდა გამოხატონ. ჩვენ, ყველა, პატრიარქატისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის მომხრე ვართ, არ ვეკარებით ნარკოტიკს, არ ვეტანებით სასმელს.

— მკლავზე ფაშისტური სამკლაურები გაქვთ, ერთმანეთს ხვდებით, ეგრეთ წოდებული, „ფაშისტური მისალმებით“ — გაშლილი ხელით, ეს მხოლოდ სათათბიროს და დარბაზის შეკრებებზე ხდება, თუ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც?

— ეს ჩვენი შექმნილი სიმბოლიკაა და ყოველდღე ამ სამკლავურებით დავდივართ, ქალაქში გადაადგილების დროსაც კი, თუ არ ვატარებთ, გულთან ახლოს, ჯიბეში გვაქვს. მე როცა მძინავს, მაშინაც ფაშისტი ვარ. გაშლილი ხელით მისალმება ძველ რომშიც არსებობდა, მხოლოდ ფაშისტური არ არის. თანამებრძოლები ერთმანეთს ამ მისალმებით ვხვდებით. ასეთი მისალმება ქართულ რეალობაშიც არსებობდა, რაც შემორჩენილია ცეკვა „ხორუმში“. ვიყენებთ მოკლე მისალმებასაც, რომელსაც ადოლფ ჰიტლერი იყენებდა. ეს არის მისტიკური მისალმება და ნიშნავს ღმერთისა და ადამიანების სამშვიდობო კავშირს — გაშლილი ხელით შენთან მოვედი, ხელში არაფერი მიჭირავს.

— სამშვიდობო ეძახეთ და, კი დაიპყრეს ამ გაშლილი ხელით რომაელებმა და ფაშისტებმა ნახევარი მსოფლიო, რატომ მოუწოდებთ ქართველებს შეიარაღებისკენ, თქვენი ვიდეორგოლით, რომელიც იარაღის ფონზე გაქვთ გადაღებული, სამართალდამცველებიც დაინტერესდნენ. ორგანიზაციის წევრები შეიარაღებულები ხართ?

— დიახ შეიარაღებულები ვართ, კანონის ფარგლებში ვატარებთ იარაღს. ორგანიზაციის წევრების უმეტესობას გვაქვს იარაღი: სანადირო თოფი, „ვინჩესტერი“, პისტოლეტი, ნახევრადავტომატური იარაღები, ვიცავთ მათი მოხმარებისა და გადატანის წესებს. ჩვენ, ფაშისტები, კანონდამცველი ხალხი ვართ. დღეს შეიარაღება ჩვენი ერთადერთი გამოსავალია. ჩვენ არ ვართ მომხრე, დროშიანმა ქართველმა კაცებმა „ჯოს, ჯოს“ იძახონ. ავტომატიან და ტანკებიან ხალხს, ავტომატებით და ტანკებით ელაპარაკებიან. როცა საჭიროა, ჩვენ პროტესტით გამოვდივართ ქართული ინტერესის დასაცავად. მაგალითად, გასულ წელს გავაპროტესტეთ, როცა რუსი ბაიკერები უნდა შემოსულიყვნენ თბილისში; ახლაც გამოვხატეთ პროტესტი, როცა ერთ-ერთ ორგანიზაციაში არჩილ ტატუნაშვილის პლაკატები ჩამოხიეს. მიგვაჩნია, რომ ქართველ მამაკაცს, რომელიც უხსოვარი დროიდან იყო მებრძოლი, იარაღი აუცილებლად უნდა ჰქონდეს. ჩვენ ირგვლივ ყველა ერი მილიტარიზდება და ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ გამონაკლისი?

— ქართველი მამაკაცი ხმლითაც დადიოდა.

— ხმალი არაპრაქტიკულია, თორემ რატომაც არა. ძალიანაც გამიხარდებოდა, ქართველი მამაკაცები ეროვნულ ტანსაცმელს და ხანჯალს ან მაუზერს რომ ატარებდნენ. ამერიკაში, ქუჩაში დადიან იარაღით, აგერ ტრამპმა მასწავლებლებს დაურიგა იარაღი, რომელიც მხოლოდ იმ ადამიანს არ უნდა ჰქონდეს, ვისაც ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს. დღეს ქუჩაში შეიარაღებულებმა უნდა ვიაროთ არა მხოლოდ მამაკაცებმა, ქალებმაც. მათ იარაღის დაშლა-აწყობა აუცილებლად უნდა იცოდნენ, ამის შესასწავლად კი სკოლაში სამხედრო გაკვეთილები უნდა არსებობდეს. რაც უფრო ახლო ვიქნებით წინაპართა ფესვებთან, მით უფრო ძლიერი იქნება საქართველო.

— თქვენ ორგანიზაციის მეთაური ხართ, გყავთ ოცეულის, ასეულის მეთაურები, მწიგნობართუხუცესი, გაქვთ დარბაზობა. ისეთი იერარქია გაქვთ, ჰიტლერსა და მუსოლინის რომ შეშურდებოდათ. როგორც ვიცი, თქვენი, როგორც მეთაურის, პორტრეტი, არ უკიდიათ თანამებრძოლებს, „გადაგიკეთებიათ“ ფაშიზმი.

— მე მეთაური კი ვარ, მაგრამ არავის არ ვთხოვ, ჩემი პორტრეტის დაკიდებას და თაყვანისცემას, ამას დამსახურება უნდა. ყველა ორგანიზაციას სჭირდება ხელმძღვანელი, მე ვარ მეთაური, თუმცა გვყავს ოცმეთაურიც, ასმეთაურიც, როგორც არმიაშია. წარმატების საიდუმლო არის დისციპლინასა და ორგანიზებულობაში. ყველა ფაშისტური ორგანიზაცია კარგად იერარქიულია, ადრეც ასე იყო და ახლაც ასეა. მუსოლინის აქვს ნათქვამი, ყველა ერს ექნება თავისი ფაშიზმი ამ ერის სპეციფიკით განპირობებულიო. ობერშტურმანფიურერს ვერ დავირქმევდით, იმიტომ, რომ ქართველები ვართ, ამიტომაც ავიღეთ სახელები ჩვენი ისტორიიდან. გვყავს შავპერანგიანთა, ეგრეთ წოდებული, „დამრტყმელი ბატალიონები“, რომლებიც უზრუნველყოფენ წესრიგს ჩვენი აქციების დროს.

— ერთი შეხედვით, ეს დიდი ბიჭების ბავშვურ თამაშს ჰგავს — სამეთაურო დარბაზი, დამრტყმელი ძალა, იდეოლოგია, პროპაგანდა, ფაშისტური სამკლავური თუ მისალმება.

— წლების მერე ვისაუბროთ, ეს თამაშია თუ არა, ყველაფერს დრო გვიჩვენებს. თუ ამას თამაშს უწოდებთ, იცოდეთ, რომ საინტერესო „თამაშია“, რომელსაც ექნება შედეგი. ჩვენ საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი გვყავს, წლებთან ერთად უფრო ფართო მასებს შემოვიკრებთ და საკმაოდ შედეგიანი „თამაში“ გამოგვივა, უკვე ბევრს დავუფრთხეთ ძილი და ასე ვაპირებთ გაგრძელებას.

წყარო: htt://tbiliselebi.ge/index.-php?newsid=268453070
http://accent.com.ge/

ᲒᲐᲑᲔᲓᲐᲕᲐ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲒᲐᲑᲔᲓᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲯᲐᲠᲘᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲮᲓᲘᲡ!

12-13 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ კონტრაქციის ორგანიზატორი გიორგი გაბედავა, რომელიც სამართალდამცველებმა აქციაზე დააკავეს, აცხადებს, რომ სასამართლოს მიერ დაკისრებულ ჯარიმას არ გადაიხდის. გაბედავა ამბობს, რომ მას უსამართლობის განცდა აქვს:

„სავარაუდოდ, არ გადავიხდი იმიტომ, რომ მე არ ვეთანხმები იმას, რომ მე წინააღმდეგობა გავუწიე პოლიციას. კი, მე შევიგინე. რომც არ ვაღიარო, ისედაც არის ამის კადრები. მხოლოდ მას შემდეგ შევიგინე, რაც დამაკავეს და აქციის მონაწილეები იქიდან მაგინებდნენ, მანახებდნენ უცენზურო ჟესტებს. მცირე უსამართლობის შეგრძნება მაქვს იმიტომ, რომ ადამიანებმა მაგინეს მე დაკავების მომენტში და დავჯარიმდი ისევ მე“ — განაცხადა გაბედავამ სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ. შეგახსენებთ, რომ კონტრაქციაზე დაკავებულ 16 ადამიანს სასამართლომ ჯარიმის გადახდა დააკისრა, ერთი კი, რომელიც ადმინისტრაციულ პასუხისგებაში იყო, გაათავისუფლა.



მხოლოდ სიღრმისეულად

რევაზ ბარამიძე – მკვლევარი და პედაგოგი

რევაზ ბარამიძემ **თავისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ძველი ქართული ლიტერატურის კათედრაზე დაიწყო. მან ოჯახური ტრადიცია გააგრძელა – მისი მამა, ბატონი გრიგოლ ბარამიძე, ცნობილი პედაგოგი იყო. ამ გზაზე ბატონმა რევაზ ბარამიძემ ძალიან ბევრს მიაღწია – იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შემდეგ კი სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორი.**

რევაზ ბარამიძის სამეცნიერო საქმიანობა, ძირითადად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ძველი ქართული მწერლობის განყოფილებაში მიმდინარეობდა – ამ განყოფილებას ის თავად ხელმძღვანელობდა.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დაარსების პირველი დღიდან უძღვებოდა ბატონი რეზო ამ სასწავლებელში ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს.

ნიშანდობლივია, რომ რევაზ ბარამიძის სამეცნიერო ხელმძღვანელი და მასწავლებელი იყო აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მომავალი მეცნიერის ფორმირებაში.

რევაზ ბარამიძე ავტორია 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და არაერთი წიგნისა. მის მრავალრიცხოვან სამეცნიერო ნაშრომთაგან ამ მოკლე მიმოხილვისას მხოლოდ იმათზე შევჩერდებით, რომლებიც გარკვეული კუთხით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ გავლილ გზას ასახავენ.

მკვლევარმა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა მძიმე იდეოლოგიური რეჟიმის პირობებში დაიწყო. მიუხედავად ამისა, მან საკვლევ სფეროდ ძველი ქართული სასულიერო მწერლობა აირჩია და თავისი ღირებული სიტყვა თქვა ქართული სულიერი კულტურის შესწავლის ისტორიაში.

პროფესორ რევაზ ბარამიძის სამეცნიერო კვლევის სფერო ძველი ქართული მწერლობის ყველა პერიოდს მოიცავს, დაწყებული „წმინდა შუშანიკის მარტვილობით“ დამთავრებული – XVI-XVIII საუკუნეების მწერლობით. დავასახელებთ ზოგიერთ მნიშვნელოვან ნაშრომს:

1. დავითიანში განფენილი ზოგიერთი პრობლემა;
2. გიორგი მერჩულე – ქართული პროზის დიდოსტატი და მშვენება;
3. ქართული პროზის საკითხები – ფარნავაზმან ძლიერყო ქუეყანა თვისი;
4. ნარკვევები ქართული პროზის ისტორიიდან;
5. ლიტერატურული შტუდიები (ქართული მწერლობის შესწავლისათვის);
6. არჩილ ბაგრატიონი, ქართული საისტორიო და ორატორული პროზა;
7. ქართული მწერლობის სათავეებთან: „შუშანიკის წამება“;
8. ანტონ კათალიკოსი – „წყობილსიტყვაობა“;
9. ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, იოანე ბოლნელი;
10. ნარკვევები ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან, V-X სს.

რევაზ ბარამიძემ მეცნიერულად შეისწავლა და განიხილა იაკობ ცურტაველის, იოანე საბანისძის, იოანე ბოლნელის, გიორგი მერჩულის, თეიმურაზ პირველის, არჩილის, ვახტანგ მეექვსის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ბესარიონ გაბაშვილის შემოქმედება. ამავე დროს სიღრმისეულად შეისწავლა ქართული საისტორიო პროზა: ლეონტი მროველის, ჯუანშერის, ჟამთააღმწერლის, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის შემოქმედება.

რევაზ ბარამიძის ნაშრომები ეხება ქართული სასულიერო მწერლობის თითქმის ყველა ჟანრს, იქნება ეს ჰაგიოგრაფია თუ ჰიმნოგრაფია, ჰომილეტიკა თუ ასკეტიკა და მისტიკა. თავის სამეცნიერო შრომებში შეისწავლა და გამოკვეთა სასულიერო მწერლობის სხვადასხვა ჟანრისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი, ის სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობას ამავე ჟანრის სხვა ძეგლებისაგან გამოარჩევს. მაგალითად, მის ნაშრომებში წარმოჩენილია, თუ როგორ დგას ავტორობის საკითხი საეკლესიო მწერლობაში. ის, რომ ხშირ შემთხვევაში ავტორი არც ასახელებს თავის თავს, რადგან მიჩნეულია, რომ ნაწარმოები სულიწმიდის მადლით იწერება და არა მხოლოდ ადამიანური გონებით; რევაზ ბარამიძე უაღრესად საყურადღებო დასკვნას აკეთებს, რომ შუა საუკუნეებში ერთი ავტორის მიერ მეორისაგან სიუჟეტის სესხება მისაღებ მოვლენად არის მიჩნეული და ეს საავტორო უფლების დარღვევას არ ნიშნავს.

მკვლევარი იმასაც შენიშნავს, რომ შუა საუკუნეების სასულიერო მწერლობაში არ არის მიღებული, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ე.წ. „მოულოდნელობის ეფექტის გამოყენება“, რასაც სხვა დროის მწერლები, პირიქით, ესწრაფვიან.

მკვლევარის აზრით, ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობა მთელი რიგი თავისებურებებით გამოირჩევა. მაგალითად, მასში არ იხატება პერსონაჟთა მხოლოდ „სქემატური სახეები“. ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების გმირები ყველა დროის მკითხველის წინაშე მთელი ცხოვრებისეული რეალობით წარმოჩინდებიან. მათი ადამიანური თვისებები მკვეთრად შესამჩნევია. ავტორი ზოგჯერ წმინდა მოღვაწეების ადამიანური თვისებების ჩვენებასაც არ ერიდება.

რევაზ ბარამიძის ნაშრომებში ბევრი საინტერესო საკითხია დაყენებული. მაგალითად, იგი არ გამორიცხავდა, რომ „წმ. ნინოს ცხოვრება“, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც, შესაძლოა, მეოთხე საუკუნეში იყოს შექმნილი, როგორც ამას კორნელი კეკელიძე ვარაუდობდა. ბატონი რეზოს აზრით, „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ შეინიშნება ის განწყობილება, ის პლასტები, რომლებიც წინარექრისტიანულ პერიოდზე მიანიშნებს. მაგალითად, სტატიაში „სადაც ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“ ნაჩვენებია, რომ სათაურად გატანილი სიტყვები, რომლითაც წმინდა ნინოს წარმართები მიმართავენ, რეალისტურად ასახავს ეპოქას.

რევაზ ბარამიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ წინაქრისტიანული მწერლობის საფუძველი, ჩვენამდე მოღწეულ წარმართულ, მატერიალურ და სულიერ კულტურასთან ერთად, დასტურდება მეფე ფარნავაზთან დაკავშირებულ თხრობაში, რაც „ქართლის ცხოვრებამ“ შემოგვინახა. აქედან გამომდინარე, უძველესი ქართული ძეგლი, შეესაძლოა, „ფარნავაზიანი“ იყოს. ამ ვარაუდის დასამტკიცებლად მკვლევარს არაერთი არგუმენტი მოჰყავს, მაგალითად, იგი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ფარნავაზი ხშირად ამბობს: „ვჰმადლობ სვესა ჩემსა“. სიტყვა „სვე“, რ. ბარამიძის აზრით, მოგვიანებით უნდა იყოს შეტანილი „ფარნავაზიანში“, მანამდე ამ სიტყვის ნაცვლად, მკვლევრის ვარაუდით, უნდა ყოფილიყო წარმართული ღმერთის სახელი.

რევაზ ბარამიძე ნათლად უჩვენებს მკითხველს, რომ „ცხოვრება ფარნავაზისა“ პრობლემათა სიღრმითა და მასშტაბურობით, სახეთა სიდიადითა და წერის ნატიფი მანერით უძველეს ეპოქას ხატავს. ამასთან, თავისი სრულყოფილებიდან გამომდინარე, თხზულება თავად ქმნის ეპოქას.

ეს დიდი სამწერლობო ტრადიცია იკვეთება უძველეს მარტვილოლოგიურ თხზულებაში – „წმინდა შუშანიკის წამება“, მკვლევარი საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს წმინდა იაკობ ხუცესის, როგორც ავტორის შესახებ. მისი თქმით, იაკობის მწერლური ოსტატობა ვლინდება იმაში, რომ იგი გვიჩვენებს განღმრთობის გზაზე მდგარი ადამიანის რთულ შინაგან მდგომარეობასა და წმინდანის ხასიათის სიმტკიცეს. რევაზ ბარამიძე გამოკვეთს წმინდანების უფალთან მიახლების გზებსაც. მისი თქმით, თუ „წმინდა ევსტათი მცხეთელის წამებაში“ ჭეშმარიტი სარწმუნოების მაძიებელი სპარსი ჭაბუკი სხვადასხვა რელიგიას ეცნობა და ირჩევს ქრისტიანობას, „წმინდა აბო თბილელის მარტვილობაში“ ტომით სარკინოზი აბო ქრისტიანულ სწავლებას ღვთის შთაგონებით ეზიარება: „არათუ თვისით გონებით, არამედ წამისყოფითა ღმრთისამიერითა“.

მკვლევარი საუბრობს ნების თავისუფლების შესახებ და, წმინდა პავლე მოციქულის სიტყვებზე დაყრდნობით ამბობს, რომ ეს უპირველესი ღირებულება „პიროვნების გახსნის“ სრულ შესაძლებლობას იძლევა. ამ აზრის თვალსაჩინოებისთვის მკვლევარი გვიჩვენებს წმინდა აბო თბილელის თვითშემეცნების, შინაგანი თვითსრულყოფის და ამაღლების გზას.

რევაზ ბარამიძის, როგორც მკვლევრის, ყურადღებას იპყრობს სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის სახე-სიმბოლოები. მკვლევარი მიიჩნევს, რომ იოანე საბანისძის „წმინდა აბოს წამება“ პირველი ძეგლია, რომლის შესავალშიც არის ჩამოყალიბებული და განმარტებული ქრისტიანული სარწმუნოების ძირითადი სიმბოლოები, იგი იზიარებს კორნელი კეკელიძის და ილია აბულაძის მოსაზრებებს და ასკვნის, რომ იოანე საბანისძემ შეადგინა აღნიშნულ სიმბოლოთა განმარტება ეპიფანე კვიპრელის პასქალურ ჰომილიაზე დაყრდნობით.

საინტერესოა რევაზ ბარამიძის მსჯელობა შუა საუკუნეების ქართულ საგანმანათლებლო სისტემაზე, მისი შენიშვნით, ამ პერიოდის სწავლებითი სისტემა გულისხმობდა ბიბლიური, პატრისტიკული ცოდნისა და „გარეშე“ სიბრძნის გარკვეულ კავშირს.

რ. ბარამიძე „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაზე“ დაყრდნობით, შენიშნავს, რომ განღმრთობის გზაზე მდგარ მოღვაწეს „უჟამო იგი ნათელი უძღოდის“. მისი თქმით, „უჟამო ნათელი“ ჩვენი მწერლობის ისტორიაში, ჰიმნოგრაფიის პარალელურად, პირველად აღნიშნულ თხზულებაში გვხვდება.

მკვლევარი „ქართული პროზის ორგანულ ნაწილად“ მიიჩნევს მატიანეებს. იგი „ქართლის ცხოვრების“, როგორც მატიანეთა კრებულის, სათაურის საინტერესო ინტერპრეტაციას გვთავაზობს. მისი თქმით, ჩვენმა წინაპრებმა საქართველო მთელი თავისი ისტორიით, ჭირ-ვარამითა და სიხარულით „ცოცხალ არსებად“ მოიაზრეს, ვინაიდან ხსენებულ მოღვაწეთათვის საქართველო გეოგრაფიული ცნება კი არ იყო, არამედ – საკრებულო ღირსეული ადამიანებისა, რომლებიც ქმნიდნენ ერის ისტორიას.

დასასრულ, რევაზ ბარამიძის მეცნიერული მემკვიდრეობის მოკლე შეფასების შემდეგ ვიტყვით, რომ მისთვის, როგორც მკვლევრისთვის, მთელი ჩვენი მწერლობა მარადცოცხალი ფენომენია, ხოლო ის თემა და იდეა, რაც ამ მწერლობას განსაზღვრავს, ზედროული და ზესივრცულია.

ფრიად ნაყოფიერი იყო პროფესორ რევაზ ბარამიძის პედაგოგიური საქმიანობა. მას ახასიათებდა დიდი პასუხისმგებლობა, იყო ყოველთვის ენერგიული, შემართული, ნიჭიერი სტუდენტების მაძიებელი და ხელშემწყობი.

დღეს უკვე შეგვიძლია სრულად შევაფასოთ და დავაფასოთ ის შრომა, რომელიც რევაზ ბარამიძემ სასულიერო აკადემიის კედლებში გასწია. მან მრავალი ღირსეული სტუდენტი აღზარდა, რომელთაგან ბევრი ამჟამად საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მღვდელმსახურია, ზოგი კი თვალსაჩინო სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე, რომლის პროფესორიც ბატონი რევაზი ბრძანდებოდა, მუდამ საქმიანი ატმოსფერო სუფევდა. ჭარმაგი პროფესორი ერთ ლექციასაც არ გააცდენდა, ვალდებულების განცდას ახალგაზრდა კოლეგებსაც უნერგავდა და სტუდენტებსაც.

აკადემიის კედლებში ყოველგვარი სამეცნიერო და ზოგადად, კულტუროლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ძველი ქართული მწერლობის სწავლებას, პოპულარიზაციას, დაინტერესებულ პირთა თუ მთარგმნელთა მოზიდვას გულისხმობდა, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას უკავშირდებოდა. ამ საქმიანობას, კათედრის გამგესთან, ბატონ გრივერ ფარულავასთან ერთად, ბატონი რევაზ ბარამიძე წარმართავდა.

ბატონი რევაზი აკადემიისა და სემინარიის კედლებში სტუდენტებს შორის ეძებდა ნიჭით გამორჩეულ ახალგაზრდებს – უყვარდა მათთან ბაასი, მათი მოსმენა. დასვამდა კითხვას და მერე ოსტატურად, მცირედ ჩაერეოდა დისპუტში, თავად სტუდენტებს აძლევდა დასკვნების გამოტანის საშუალებას, მიაჩნდა, რომ ასეთი თანაშემოქმედება, ასეთი მაძიებლობა ჭეშმარიტებისა უფრო ეფექტური იყო. იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ ძველი ქართული მწერლობის ყველა დარგში სრულყოფილად გადაეცა ცოდნა იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც მომავალი თეოლოგები და სასულიერო პირები უნდა გამხდარიყვნენ. არაერთი ყოფილი სტუდენტი, დღეს კი გამორჩეული საეკლესიო მოღვაწე, სიყვარულით იხსენებს ბატონ რევაზ ბარამიძეს. სწორედ ასეთი ადამიანები ტოვებენ კვალს სხვათა მეხსიერებაში. სასულიერო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები დღესაც მადლიერების გრძნობით იხსენებენ იმ წლებს, როდესაც ბატონი რევაზ ბარამიძე ხსენებულ აკადემიაში მოღვაწეობდა.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორ-მასწავლებლები

P. S. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით ეხმაურება ჭეშმარიტად თვალსაჩინო მეცნიერის საიუბილეო თარიღს. ბატონი რევაზ ბარამიძე წლების მანძილზე თანამშრომლობდა ჩვენს გაზეთთან, მუდამ ჩვენი სასურველი ავტორი იყო, რომელიც ყოველთვის სიღრმისეული წვდომით აშუქებდა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ულმობელი დროის მიერ ფართო მკითხველისთვის „ჩაბნელებულ“ საკითხებს. ბატონი რევაზი აკადემიური ცოდნით აღჭურვილი მკაცრი, მაგრამ სამართლიანი პოლემისტი იყო, ერთი სიტყვით, იგი XX საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო ფილოლოგად დარჩება, რომლის მეცნიერული ნაღვაწი მუდამ ახალი, მკვიდრი საფეხური იქნება შემდგომი კვლევებისთვის. მან სამუდამო კვალი დატოვა ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში.

2018 წლის 18 მაისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართება გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის რევაზ ბარამიძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

ამავე დღეს შედგება წარდგინება მისი ნარკვევებისა და პუბლიცისტური სტატიების კრებულისა – „სახელმწიფოებრივი ცნობიერება და ზნეობრივი იდეალი“. დასაწყისი 16 საათზე.

ᲝᲗᲐᲠ ᲡᲔᲤᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲛᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ახალდაარსებულ ტელევიზიაში 1960 წლიდან ვმუშაობდი ჯერ შტატგარეშე, შემდეგ მუსიკალურ რედაქციაში ასისტენტად, შემდეგ ფერადი ტელევიზიის რედაქტორად. კინოხელოვნების აღიარებული სპეციალისტი ოთარ სეფიაშვილი ცოტა გვიან მოვიდა. ამას მოჰყვა ყოველგვარი კინოგადაცემების გაერთიანება და მთავარ რედაქტორად ოთარ სეფიაშვილი დაინიშნა. ჩვენ ერთად ოცდახუთი წელი ვიმუშავეთ და მრავალი რთული პრობლემა გადავლახეთ, ისე რომ ჩვენი უბრალო კამათიც არავის გაუგია. მთავარ რედაქციაში ოთხი ცალკე რედაქცია იყო, მრავალი სტუდიური თუ მექანიკური გადაცემა, თანაც, ძალზე მცირე საშტატო ერთეულით (მხოლოდ 29 თანამშრომელი). მიკვირს, როგორ ვახერხებდით ამდენი გადაცემის მომზადებას და ეთერში გაშვებას: „ილუზიონი“, „კინოს სამყაროში“, „გლობუსი“, „ბუნების კარი“, „მულტპანორამა“, „პალიტრა“, „ცეროდენას ეკრანი“, „კინოაფიშა“ და საბავშვო ჟურნალი „კინომოზაიკა“.

ჩვენი მთავარი პრობლემა მაინც მხატვრული ფილმების შოვნა იყო. მაშინ ყოველდღე ერთი ფილმის მოპოვება, თანაც ახალი მხატვრული ფილმის გაშვების უფლება ერთი წლის განმავლობაში არ გვქონდა... ასევე რთული იყო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური, მულტიპლიკაციური ფილმების შოვნა. არადა, აუცილებელი იყო, მუდამ გქონოდა სარეზერვოდ 10-15 მაინც, გადაცემათა შუალედში რომ ჩასმულიყო. დარჩენილი დროის შესავსებად მოკლემეტრაჟიან ფილმებს გვიგზავნიდნენ მოსკოვიდან, მაგრამ, რა თქმა უნდა, რუსულ ენაზე. ეს ჩვენ დიდად არ

გვაწყობდა. ხშირად მხატვრული ფილმი რუსულ ენაზე მიეწოდებოდა მაყურებელს და შესვენებაზეც... ისევ რუსული!... ამიტომ სეფიაშვილს ვთხოვე, როგორმე მოგვეხერხებინა, ჩვენი ფილმოთეკა შეგვევსო ქართული ფილმებით. ოთარმა გულისყურით მომისმინა და დამთანხმდა. შევედით თავმჯდომარის მოადგილესთან, ქალბატონ ივლიტა მესხიშვილთან. ეს ხომ ღმერთქალი იყო. ყველა ჩვენგანის აღმზრდელი და დამრიგებელი, მაგალითი სიკეთის კეთებისა, დედით ბაგრატიონი, როგორი ავტორიტეტი ჰქონდა... რა მოწიწებით უსმენდნენ მის სიტყვას და ასრულებდნენ გონიერებით გამოთქმულ მის თხოვნა-შენიშვნებს...

მოგვისმინა და მოგვიწონა კიდეც. მასზე უკეთ აბა ვინ იცოდა ტელევიზიის ფინანსური შესაძლებლობები, ამიტომ გვირჩია, რეზო ჩხეიძესთან მივსულიყავით, რა დაგვიჯდებოდა ეს ყველაფერი...

ბატონ რეზოს კარგად ვიცნობდით. ის ერთ ხანს ტელევიზიაში მუშაობდა...

მივედით მე და ოთარი. დიდი სიყვარულით მიგვიღო, მოგვისმინა. ცოტა ხანს იფიქრა, იფიქრა და დინჯად, თავისებურად დაიწყო: ,,ბიჭებო, მე ხომ თქვენთან მხატვრულ ხელმძღვანელად ვმუშაობდი. ვიცი თქვენი ფინანსური შესაძლებლობები, ამიტომ ასე გადავწყვიტე: ყოველი ახალი ფილმის გამრავლებისას ერთ ასლს დაგიბეჭდავთ, ძვირია, მაგრამ ნახევარ ფასში, თანაც — იაპონურ ფირზე. ასევე დაგიბეჭდავთ ყველა მოკლემეტრაჟიან მხატვრულ, მულტიპლიკაციურ და დოკუმენტურ ფილმებს, მხოლოდ ეროვნული საქმე ვაკეთოთ და მე ყველაფერს ვეცდები...“

მე და ოთარს ძალიან გვიხაროდა, იმიტომ რომ ყველა ახალი ფილმის ასლი გვექნებოდა, ორმაგად სასიამოვნო იყო, იმიტომ, რომ ახალი ფილმის ჩვენების უფლება როგორც ვთქვი, ერთი წლის შემდეგ გვქონდა, მანამდე კინოთეატრებში ტრიალებდა და ხარისხი ფუჭდებოდა, იჩხაპნებოდა. როცა ჩვენი ასლი გვექნებოდა, მაყურებელს სრულიად დაუზიანებელ სურათს ვაჩვენებდით და დიდი მადლი იყო ასეთის ცქერა.

რეზო ჩხეიძემ, დიდმა ქართველმა რეჟისორმა და საზოგადო მოღვაწემ შეპირებულს კიდევ ის დაუმატა, რომ ქართულ ენაზე დუბლირებული ფილმების ასლებიც დაგვიბეჭდა და წლების შემდეგ პენსიაზე გასვლისას ჩემს თანამშრომლებს 300 (სამასი) ფილმის სია დავუტოვე ფილმოთეკაში. აბა შეადარეთ, როცა ფერადი ტელევიზიის რედაქტორი ვიყავი, მხოლოდ ერთი ფილმი „შეწყვეტილი სიმღერა“ მქონდა. ყოველ 9 მაისს მას ვაჩვენებდი. წელიწადში მხოლოდ ერთი ფილმი საკუთარი და ახლა

კიდევ 300 (სამასი)?... დიდი მადლობა სამივე დიდ ადამიანს — ოთარ სეფიაშვილს, ივლიტა მესხიშვილს, რეზო ჩხეიძეს ამ სიკეთისათვის. ღმერთმა გაანათლოს მათი სულები... მათი წამოშველებით, რამდენი პრობლემა მომეხსნა მე და ჩემს რედაქციებს. დაგვჭირდებოდა ფილმები, დავწერდი განაცხადს და ასისტენტი ფილმოთეკიდან გამოიტანდა. არც მანქანა სჭირდებოდა, არც ფილმის დაქირავების თანხა და... დაუზიანებელი ფილმი მზად იყო...

თავიდან ბევრი დამცინოდა კიდეც, ნეტა რატომ იკლავს თავს, ეს საქმე მაგის ფუნქციაში არ შედისო. წლების მანძილზე პრობლემები წარმოიქმნებოდა კინოსტუდიიდან ფილმის გამოტანისასაც კი, მაგრამ კარგი საქმე ადვილად არ კეთდება. საბოლოოდ, როცა საკუთარი ფონდი შეიქმნა და რეჟისორებს ფილმებიდან რაიმე ფრაგმენტი დასჭირდებოდათ, არც კინოსტუდიაში, არც კინოგაქირავების სამსახურში არ სჭირდებოდათ სირბილი. შემდეგ ირწმუნეს, ყველასთვის რა მადლიანი საქმე გაკეთდა...

ბატონი ოთარის ხელმძღვანელობით, მისი პროფესიონალი თანამშრომლების დახმარებით საქმე იმ დონეზე კეთდებოდა, რომ ჩვენს მიმართ არც კომიტეტის ხელმძღვანელობიდან და არც მთავრობიდან საყვედური არასოდეს თქმულა. ოთარი ძალიან ჰუმანური ადამიანი იყო. მხოლოდ ერთ მაგალითს გავიხსენებ: რადიოტელევიზიის კომიტეტში ყოველთვის დაცული იყო დისციპლინა, მით უმეტეს სამსახურში დროულად გამოცხადებისა. ჩვენს რედაქციებში მხოლოდ ორი ქალბატონი იყო, რომლებსაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავდათ. ერთს ორი ბავშვი ჰყავდა, მეორეს — სამი. მრავალი მცდელობის მიუხედავად, ცოტა-ცოტა მაინც აგვიანდებოდათ. მათი მეუღლეებიც მუშაობდნენ. თვითონ ძალიან განიცდიდნენ. როგორ გინდა, ისე ადრე ადგე, ყოველნაირად მოამზადო ბავშვები, ასაუზმო, ერთი საბავშვო ბაღში მიიყვანო, მეორე სკოლაში... ეს ქალბატონები ლია ისიანი და ბელა ჯიჯეიშვილი, ამჟამადაც ცოცხლები არიან. ორივე ძალიან განათლებული რედაქტორები, ერთ მშვენიერ დღეს განცხადებით მოგვადგნენ, გვთხოვდნენ, ნახევარ შტატზე გადაგვიყვანეთო, მეტს ვეღარ ვასწრებთო, გვავგვიანდებაო, სასჯელს და სირცხვილს გვირჩევნია, ნახევარ ხელფასს დავჯერდეთო... ოთარმა შემომხედა და მეკითხება: რა ვქნათ, გივი? მე მაშინ მთავარი რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი ვიყავი. პარტორგანიზაციის ერთ-ერთი მდივანიც, კინორედაქციის განყოფილების გამგის მოვალეობასაც იძულებით ვასრულებდი, რადგან, ვინც ხელფასს იღებდა, ის არაფერს აკეთებდა, ზემოდან იცავდნენ და რვა წლის მანძილზე კვირის გეგმები, თვის გეგმები, კვარტლის გეგმები, თითქმის ყველაფერი ჩემი საკეთებელი იყო, ამიტომ მე იმაზე უფრო ვფიქრობდი, რადგან ჩვენი დასაფასებელი თანამშრომლები ამ რისკზე მიდიოდნენ და ნახევარ-ნახევარ შტატზე გადადიოდნენ.

აგერ, ერთი მთლიანი თავისუფალი ადგილი გვიჩნდებოდა, რომ ახალი რედაქტორი მიგვეღო. ეს ჩემთვის პირდაპირ ხსნა იყო... მაგრამ ოთარ სეფიაშვილმა სხვა, მოულოდნელი გამოსავალი შემომთავაზა...

მოდი, ასე გავაკეთოთ, ჩვენი ნაფერები ბავშვების დედებს ხელფასები შევუნარჩუნოთ, მათი სამუშაოს ნაწილი მე და შენ გადავინაწილოთო...

სხვა რა გზა იყო, ასეც მოვიქეცი...

...ოთარი ხშირად ამჟღავნებდა სურვილს ლეჩხუმში წასვლისა, განსაკუთრებით ლაილაშის მონახულება უყვარდა. ერთხელაც ვკითხე, რატომ მაინცდამაინც ლეჩხუმი?

— არა გივი, ჩემი სამშობლოს ყველა კუთხე მიყვარს, მაგრამ ლეჩხუმის სიყვარული, რატომ, იცი? მამაჩემი დიდი სამამულო ომის მონაწილე იყო, იქიდან მძიმედ დაჭრილი დაბრუნდა. კი გამოკეთდა, საკმაო ხანი იცოცხლა, სულ ლაილაშის ხსენებაში იყო. რაებს არ იხსენებდა. ლაილაშში დაიბადა. იქ სულ თოთხმეტი წელი გაატარა, მაგრამ მაინც ლაილაშის ნატვრაში იყო. მიყვებოდა ათასნაირ სიკეთეზე, ასეთ მაღალ ადგილზე მსგავსი ჰაერი არსად მინახავსო. გახედავ და როგორი ალპური მთები ჩანსო, თანაც ძალიან კარგი ხალხი ცხოვრობს. სამი ერის სალოცავია ამ პატარა ადგილზე: ებრაელების, ქართველების და სომხების. რომ გაიზრდები აუცილებლად მოინახულეო. მამა ავად გახდა. ნათესავები საეჭვოდ ჩურჩულებდნენ. ყველაზე ავტორიტეტიანები თავზე დაადგნენ და ეკითხებიან: ისააკ, აბა რას ინატრებ, რომ შეგისრულოთო? მაგის შესრულება ძნელია, ამ სიშორეს ვინ წავა თორემ, ჩემზე ბედნიერი კაცი ვინ იქნება? ისააკ, თქვი და შეგისრულებთ... ,,ერთი ბოთლი ოქრონიშის წყალი მინდა“... ოჰ! მაგი ძნელი არაა... ახლავე გავგზავნით ბიჭებს და ხვალ აქ იქნება ოქრონიშიო...

მეორე დღეს, მართლაც ჩამოიტანეს ოქრონიში, მაგრამ მამაჩემი უკვე აღარ იყო, ზუსტად ერთი საათი დააგვიანდათ. მაინც კმაყოფილი დავრჩით ყველანი, ჯერ კიდევ თბილი იყო მამა, როცა ოქრონიშის წყალი გულში ჩაახუტეს...

ოთარი ამას ყვებოდა და ყელში რაღაც ებჯინებოდა, არც მე ვიყავი ნაკლებ დღეში. საყვედურნარევი ხმით მივმართე: თუ ასეთი ისტორია გქონდა, რატომ არ მითხარი-მეთქი? მოდი, კომიტეტის თავმჯდომარესთან განცხადებით მივიდეთ და ხვალვე წავიდეთ. არა, ასე ნაჩქარევად არა, მე ჩემი გეგმა მაქვს. გამოიძახე ჩვენი მანქანა, წავიდეთ კინოსტუდიაში, რეზო ჩხეიძე ვნახოთ. წავედით. დარეკილი იყო და ადგილზე დაგვხვდა. ოთარმა სთხოვა, სასწრაფოდ ერთი ეგზემპლიარი დაებეჭდათ „აკაკის მოგზაურობა რაჭა—ლეჩხუმში“, თანაც ნაწილობრივ უამბო რისთვის სჭირდებოდა. როცა ფილმი მზად იყო, მე და ოთარმა მოვილაპარაკეთ: ჩავიდოდით ცაგერში, რაიკომის მდივანთან წინასწარ შეთანხმებით ოთარი ლექციას წაიკითხავდა კინოხელოვნებაზე, მე კი წავიკითხავდი — ტელეჟურნალისტიკაზე, შემდეგ ლეჩხუმელებს ვაჩვენებდით ოთარის მიერ ნაჩუქარ ფილმს. ამ იდეას ჩვენი ხელმძღვანელებიც კმაყოფილებით შეხვდნენ და რაიკომის მდივანი მიხეილ გვიშიანიც. როცა გზას დავადექით და ლეჩხუმისკენ მივემგზავრებოდით, ოთარმა საიდუმლო გამიმხილა: თურმე მოუპოვებია და მანქანით მოაქვს ექვსი საზღვარგარეთული უახლესი მხატვრული ფილმი, ერთი კვირით რაიონის კინოთეატრებში ჩვენების უფლებით. ეს საოცარი საჩუქარი იყო. მე თვითონ კინორეპერტუარის კომისიის წევრი ვიყავი და ვიცოდი ამ უფლებით ერთ ფილმსაც ვერავინ მოიპოვებდა, მაგრამ ეს ოთარ სეფიაშვილმა შეძლო, კინოხელოვნებაზე რვა წიგნის ავტორმა ყველასთვის საყვარელმა საზოგადო მოღვაწემ. ამ ფილმებმა ლეჩხუმის სხვა მაღალმთიან სოფლებშიც ააღწია და სამ-სამი სეანსი ატრიალეს... რაიონმა შემოსავლის წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

რაც შეეხება ოთარის და ლაილაშს... ეს საოცარი შეხვედრა იყო უძველესი ხანიდან ქართულ მიწაზე მცხოვრებ წინაპრებთან...

ᲒᲘᲕᲘ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ.

ᲓᲐᲖᲣᲡᲢᲔᲑᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის 12 მაისის ნომერში დაიბეჭდა ვეტერანი ჟურნალისტის გივი ახვლედიანის წერილი „როგორ გადაარჩინა ქართველმა ჯარისკაცმა ებრაელი მეგობარი“, რომელშიც გაიპარა დასანანი უზუსტობა — სურათზე მარცხნივ დგას დავით მეგრელიშვილი, ხოლო მარჯვნივ სეით ახვლედიანი და არა პირიქით, როგორც ეს გაზეთში იყო მითითებული. რედაქცია ბოდიშს უხდის ავტორს და ჩვენს მკითხველს.



ასე ამბობდა ჩერჩილი

„მე არასოდეს! არასოდეს! არასოდეს არ დავნებდები!“

ქართულად გადმოაქცია **გურამ გოგიაშვილმა**

თავის თავსა და თავის მიდრეკილებებზე

არცროდის არა ვღელავ ჩემი მოქმედებების გამო, ღელვით მხოლოდ უმოქმედობა მაღელვებს.

* * *

არცვის არ შეუძლია იმის თქმა, რომ თუნდაც ერთხელ მაინც ხელიდან გამეშვა რაგინდარა სასმლის შეფასების შესაძლებლობა.

* * *

გავიჩხირე რა ქვედა საფეხურზე, უზარმაზარი უპირატესობით აღმოვჩნდი ჭკუის კოლოფთა წინაშე. ისინი ყველანი განაგრძობდნენ ლათინურის, ბერძნულისა და სხვა ასეთივე მშვენიერ საგანთა ათვისებას. მე კი ინგლისურ ენას მასწავლიდნენ, ჩემისთანა ჩლუნგი ხომ მხოლოდ ინგლისურ ენას თუ დაეუფლება.

* * *

ინგლისურის არცოდნისთვის ყველას ერთი მაგრად გავავირისთავებდი, თანაც გავავირისთავებდი უწყალოდ.

* * *

თუმცა, ზიზღსა მგვრის ერთი ადამიანის მიერ მეორის კანონიერი წამებბა და თვით მოკვდინებაც კი, მაგრამ თავს იმ აზრით ვინუგეშებ, რომ სიკვდილით დასჯა ბევრად უფრო ლმობიერი სასჯელია, ვიდრე სამუდამო პატიმრობა.

* * *

თუკი სიგარას წამართმევთ, ომს გამოგიცხადებთ.

მსჯელობით სწორად ვმსჯელობ, ხოლო როცა განსჯის დრო დგება, ეს ცუდად გამომდის.

* * *

ნამდვილად მომწონს ის ადამიანი, ვინც ჩხუბში ჩაიცინებს ხოლმე.

* * *

რომაელთ ბევრად ადრე განჭვრიტეს ჩემი არაერთი საუკეთესო იდეა. იძულებული ვარ, რომ პატენტი გადავუხადო და ამ შემთხვევაში — „დაინდე წაქცეული და ნადგურყავი ამპარტავანი“.

* * *

სიყმაწვილეს ავანტიურა ესაჭიროება, მეგაზეთეთათვის აუცილებელია აჟიოტაჟი. მე ერთიც გამოვცადე და მეორეც.

* * *

ჩემს დღეგრძელობას სპორტს ვუმადლი, თუმცა სპორტს არც არასოდეს არ მივდევდი.

* * *

რაც ცხოვრებას სჭირდება, ყველაფერი მაქვს: ცხელი აბაზანა, ცივი შამპანური, ახალი ბარდა და ძველი კონიაკი.

* * *

ერთხელ ერთმა ცნობილმა ბანოვანმა მისაყვედურა, როგორ დამთვრალხარო. პასუხად ეგრევე ვუთხარი: „მართალს ბრძანებთ, მთვრალი ვარ, თქვენ კი ართვალი და თვალნაკლული ხართ, ხვალ დილით მე გამოვფხიზლდები, თქვენ კი ისევ ისე ართვალი და თვალნაკლული იქნებით-მეთქი“.

* * *

სიტყვათაგან მომზადებულ საჭმელს არც როდის არ აუშლია ჩემი კუჭი.

სიყვარულზე, ოჯახზე, კაცებსა და ქალებზე

მთელი ერის მართვა უფრო ადვილია, ვიდრე ოთხი ბავშვის აღზრდა.

* * *

ერთოგლივი ცხოვრების 40 წლის მანძილზე მე და ჩემმა ცოლმა ორჯერ თუ სამჯერ ვცადეთ ერთად საუბრობა, მაგრამ ეს ისე უსიამოვნო იყო, რომ მალევე შევეშვით.

* * *

იმაზე უკეთესი ინვესტიცია არ არის, ვიდრე ჩვილთათვის რძის ინვესტიციაა.

* * *

რით იწყება ოჯახი? რითა და იმით, რომ ყმაწვილკაცი იყვარებს ყმაწვილქალს და ინადირებს იმის გულს, — სხვა ხერხი ჯერჯერობით არ გამოუგონიათ.

* * *

ოჯახში ოთხი შვილი უნდა იყოს — ერთი შვილი დედისთვის, მეორე — მამისთვის, მესამე — ყოველი შემთხვევისთვის და მეოთხე — გვარის გასაგრძელებლად.

რა ვქნა, ნუ გამამტყუნებთ, ღორები მეჩემიანებიან და კეთილი თვალით ვუცქერი. ძაღლები ქვემოდან ზემოთ ამოგვყურებენ, კატები — ზემოდან ქვემოთ დაგვყურებენ, ღორები კი ისე გვიყურებენ — როგორც თანასწორთ.

* * *

ბავშვები ამ ქვეყანას მართლაც უჩვეულოდ და საკვირველად ევლინებიან! არ ვიცი, რაზე ფიქრობდა ღმერთი.

* * *

ცოლი მოვიყვანე და იმის მერე ბედნიერად ვცხოვრობ.

* * *

ლამაზი ქალის გამოჭერა ადვილი საქმე არ არის, თქვენი სიტყვებისგან ხომ არ დაუშნოვდება.

* * *

ძლიერი სიტყვაძვირი კაცი ძალიან ხშირად მხოლოდ იმიტომ სიტყვაძვირობს, რომ არცრა სათქმელი არა აქვს.

* * *

სუსტი სქესი სინამდვილეში ძლიერია იმ სისუსტის გამო, რასაც ძლიერი სქესი განიცდის სუსტი სქესის მიმართ.

* * *

ღმერთმა ქალები ისე შექმნა, რომ იუმორის, ანუ ხუმარსიტყვის გრძნობა არ დაეყოლა, რათა კაცები ჰყვარებოდათ და სასაცილოდ აეგდოთ ისინი.

ყველანი ჩვენ მწერლები ვართ, მაგრამ მე ციცინათელობა მინდა..

* * *

უგუნურების ეს ფორმა საკმაოდ გავრცელებულია: ყველა ცოლიანი მამაკაცი დარწმუნებულია, რომ ყველაზე კარგი ქალი ის არის, რომელიც ცოლად არ მოუყვანია, და ასევე ქმრიანი ქალებიც არიან დარწმუნებულნი, რომ ყოვლის საუკეთესო მამაკაცი ის არის, რომელსაც ისინი ცოლად არ გაჰყოლიან.

* * *

ბევრ მამაკაცს ქალების შიში აქვს, რომელთა დონემდეც ჯერ არ მიუღწევიათ, ამიტომ უფრო ხშირად ისინი დროის გატარებას იმ ქალებთან ამჯობინებენ, რომელთა გულისთვისაც უბრალოდ წაღუნვა სჭირდებათ.

* * *

ბავშვს გონებრივად მამის ბიბლიოთეკიდან წიგნების ყუები ზრდიან.

* * *

თუ გიყვართ, ისე გიყვარდეთ, ამის მერე სიძულვილი არ გაგიჭირდეთ, ხოლო თუ გძულთ, ისე შეიძულეთ, მერე სიყვარული არ გაგიძნელდეთ.

* * *

თამბაქო სიყვარულს ვნებს, მაგრამ ასაკი ბევრად უფრო მავნებელია.

* * *

ყველაფრის ბოლომდე თქმა პარტნიორისთვის თავის შეწყენის უტყუარი ხერხია.

* * *

ქალის ასაკი გარეგნობაშია ასარკული, მამაკაცის ასაკი — გრძნობებში.

* * *

ურთიერთობათა გაფუჭების ყოვლის უკეთესი ხერხია ამ ურთიერთობათა გარკვევის დაწყება.

* * *

რომ მითხრეს, 2100 წელს მსოფლიოს მართვის სათავეში ქალები მოექცევიანო, ვუპასუხე — როგორ, ისევ-მეთქი?!“

რუსებზე, რუსეთზე და სხვა ქვეყნებზე

რუსები თავად იქმნიან სიძნელეებს და მერე გმირულად ძლევენ.

* * *

ყველაზე მეტად რუსებს ძალა ხიბლავს, და არცრა არის ისეთი რამ, რაც ისინი უფრო ნაკლებ პატივსა სცემდნენ, ვიდრე სამხედრო სისუსტეა.

* * *

რუსეთის პირველი ტრაგედია ლენინის დაბადებაა, მეორე — იმისი სიკვდილი.

* * *

რა ვიცი, ვიღა არ მეუბნებოდა, რუსები ძეხორციელი არსებანი არ არიანო, ბუნების ჭდეზე ეგენი ორაგუტანებზე დაბლა დგანანო.

* * *

რუსები ზოგთ იქნებ გონებაშეზღუდულ, თავხედ ან ბენტერა ადამიანებადაც კი მოეჩვენონ, მაგრამ ვინც გზაზე გადაეღობება, იმათ ისღა დარჩენიათ, რომ დადგნენ და ილოცონ.

* * *

არც ერთი ქვეყნის მიმართ ბედ-იღბალი ისეთი სასტიკი არ ყოფილა, როგორადაც რუსეთის მიმართ.

* * *

მხოლოდ ლენინს შეეძლო რუსების იმ ჭაობიდან გამოყვანა, სადაც ისინი იმან თვითონ შეიყვანა.

* * *

არა, ნამდვილად არ შემიძლია რუსეთის მოქმედებათა წინასწარმეტყველება. ეს თავსატეხია, გახვეული საიდუმლოებაში, გახვეული გამოცანაში.

* * *

ვერ დავიჯერებ, რომ რუსეთს ომი უნდოდეს. რუსეთს ომის ნაყოფი სწადს.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №102-103

საქართველო და ტრამპის ადმინისტრაციის 16 თვე

მტკიცე და ურყევი პარტნიორობა, ორპარტიული მხარდაჭერის ხანგრძლივი ისტორია და საერთო ღირებულებების ერთგულება — ასე ახასიათებენ საქართველო-ამერიკის ურთიერთობას მიმომხილველები და ამერიკის ყოფილი ელჩები საქართველოში. ზოგიერთი მათგანის აზრით, დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში მხარდაჭერა ქვეყნის სუვერენიტეტისა და მისი რეფორმების მიმართ არათუ შენარჩუნდა, არამედ გარკვეულწილად გაძლიერდა კიდეც.

წელიწადნახევრის წინათ დონალდ ტრამპის მიერ პრეზიდენტის პოსტის დაკავებას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ზოგი გულშემატკივარი იმ შიშით შეხვდა, რომ რუსეთთან „უკეთესი ურთიერთობის“ დამყარების ფასი შესაძლოა, საქართველოს, უკრიანის თუ რუსეთის სხვა მეზობლების ინტერესების დათმობა და კომპრომისი ყოფილიყო. თუმცა დღეს ანალიტიკოსები და ყოფილი დიპლომატები ფიქრობენ, რომ ამ ეჭვების საფუძველი არ არსებობს.

ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი სვანტე კორნელი ფიქრობს, რომ ტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკის განსხვავება წინა ადმინისტრაციებთან შედარებით, ნამდვილად შესამჩნევია და პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ გაზრდილი ინტერესი აშკარაა.

„ჩვენ ვნახეთ, რომ ყაზახეთის პრეზიდენტი იმყოფებოდა ვაშინგტონში, მომავალ კვირას უზბეკეთის პრეზიდენტის ვიზიტია დაგეგმილი. ასეთი ვიზიტები ასე მოკლე დროში, მგონი, ობამას ადმინისტრაციის მთელი პერიოდის განმავლობაში არ გვქონია. ვხედავთ, რომ მიდგომა შეიცვალა, მიღებულია გადაწყვეტილებები უკრაინისა და საქართველოსთვის იარაღის მიყიდვის შესახებ. ვფიქრობ, ესაა დიდი ინტერესის არსებობის მაჩვენებელი, და ეს ინტერესი და ჩართულობის სურვილი საქართველოს, უკრაინის და ცენტრალური აზიის ქვეყნების მიმართ არის გამოხატული, მიუხედავად იმისა, რომ ამან შეიძლება ასე ვთქვათ „გააღიზიანოს რუსეთი“, — ამბობს სვანტე კორნელი.

გარდა ამისა, ამ ადმინისტრაციამ წინა ადმინისტრაციასთან შედარებით 40%-ით გაზარდა „ევროპაში შეკავების ინიციატივის“ დაფინანსება. ცხადია, ამ თანხის ნაწილი სწორედ საქართველოს თავდაცვაზე დაიხარჯება. ასე რომ, ამ ხნის განმავლობაში ტრამპის პოლიტიკა იყო კარგი საქართველოსთვის

* * *

USAID/Caucasus-ის მისიის ყოფილი დირექტორი მაიკლ ფარბმანი ფიქრობს, რომ შეერთებული შტატების ფაქტორი რუსეთში და მისი როლი უკრაინასა და საქართველოში, ამ ქვეყნების ამერიკასთან ურთიერთობაში ბოლო დროს „გამაძლიერებელი“ უფრო აღმოჩნდა, ვიდრე „დამასუსტებელი“.

„ჰერიტიჯის ფონდის“ საგარეო პოლიტიკის ცენტრის დირექტორი ლუკ კოფი ერთ-ერთი იყო მათ შორის, ვინც არ იყო დარწმუნებული როგორი იქნებოდა ახალი პრეზიდენტის დამოუკიდებულება საქართველოს მიმართ. მაგრამ ახლა მიიჩნევს, რომ ბევრი რამ დადებითი მიმართულებით შეიცვალა. ამის ერთ-ერთი მაგალითი, მისი თქმით, საქართველოსთვის გასული წლის ბოლოს ჯავშან-საწინააღმდეგო სისტემის, ე.წ. „ჯაველინების“ მიყიდვის გადაწყვეტილება იყო.

„ამ იარაღს საქართველო წლების განმავლობაში ითხოვდა და რეალურად პრეზიდენტმა ტრამპმა 8 თვეში გააკეთა ის, რაც პრეზიდენტ ობამას რვა წლის განმავლობაში არ გაუკეთებია“, — აღნიშნავს ლუკ კოფი და დასძენს, რომ მნიშვნელოვანი იყო ადმინისტრაციის ადრეულ თვეებშივე ვიცე-პრეზიდენტ მაიკ პენსის საქართველოში ვიზიტი და გამეორება იმისა, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებია. მისი აზრით, ეს მნიშვნელოვანი გზავნილი იყო.

„გარდა ამისა, ამ ადმინისტრაციამ, წინა ადმინისტრაციასთან შედარებით, 40%-ით გაზარდა „ევროპაში შეკავების ინიციატივის“ დაფინანსება. ცხადია, ამ თანხის ნაწილი სწორედ საქართველოს თავდაცვაზე დაიხარჯება. ასე რომ, ამ ხნის განმავლობაში ტრამპის პოლიტიკა იყო კარგი საქართველოსთვის“, — ამბობს ლუკ კოფი.

ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული საქართველოსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ ამერიკის პოლიტიკის შესახებ ისაა, რომ ბოლო 25 წლის განმავლობაში ყველა პრეზიდენტის მმართველობისას, დემოკრატებისა თუ რესპუბლიკელების მიერ მართული კონგრესის პირობებში, მათ მიმართ ორპარტიული მხარდაჭერა გრძელდებოდა.

* * *

მაისის დასაწყისში საქართველოს შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში უეს მიტჩელი ესტუმრა, რომელიც ნატო-საქართველოს დიპლომატიურ ფორუმზე სიტყვით გამოვიდა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ალიანსი და პრეზიდენტი დონალდ ტრამპი 2008 წლის ბუქარესტის სამიტის დეკლარაციის ერთგულნი რჩებიან და საქართველო ნატოს წევრი აუცილებლად გახდება. ?

ამერიკის ყოფილი ელჩი საქართველოში უილიამ კორტნი ამბობს, რომ საქართველო-ამერიკის ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი ორპარტიული მხარდაჭერის ხანგრძლივი ისტორიაა.

„ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული საქართველოსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ ამერიკის პოლიტიკის შესახებ ისაა, რომ ბოლო 25 წლის განმავლობაში ყველა პრეზიდენტის მმართველობისას — იქნებოდა ეს ბუში უფროსი, კლინტონი, ბუში უმცროსი, ობამა თუ დონალდ ტრამპი, დემოკრატების თუ რესპუბლიკელების კონგრესი, ორპარტიული მხარდაჭერა გრძელდებოდა, როგორც ვნახეთ, მაგალითად, სანქციებთან დაკავშირებით. დემოკრატებსაც და რესპუბლიკელებსაც სჯერათ, რომ საქართველოს დემოკრატია უმჯობესდება. ვფიქრობ, ასეთივე მხარდაჭერის გაგრძელებას უნდა ველოდოთ“, — ამბობს ყოფილი დიპლომატი და ქართული დემოკრატიის მთავარ საფრთხეებზეც საუბრობს.

მისი აზრით, ეს პოლიტიკური პარტიების ლიდერების და პერსონების ირგვლივ გაერთიანებაა, იმის ნაცვლად, რომ პარტიები იდეების, მიდგომების და შინაარსობივი განსხვავებების მიხედვით ყალიბდებოდეს.

„მნიშვნელოვანია, საქართველომ გაანაგრძოს რეფორმები, კიდევ უფრო მეტი ეკონომიკური რეფორმა, რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებს, მნიშვნელოვანია, რომ ისინი იყოს დაყოფილი საკითხებზე მათი დამოკიდებულებების მიხედვით და არა პიროვნებების ირგვლივ. ასე ეს პარტიები იქნება უფრო გამძლე და სტაბილური და ეს გააძლიერებს საქართველოს დემოკრატიასაც“, — განმარტავს „ამერიკის ხმასთან“ ამერიკის ყოფილი ელჩი საქართველოში.

ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწე ბრიჯიტ ბრინკი, რომელმაც 9 მაისს ვაშინგტონში „სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრში“ საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება გახსნა, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ბოლო წელიწადნახევარში საქართველო-ამერიკის ურთიერთობების მთავარ ასპექტებს და აღნიშნა, რომ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში ეს ურთიერთობა გარკვეულწილად გაღრმავდა კიდეც.

მან გაიხსენა მაიკ პენსის ვიზიტი საქართველოში და ახალი სახელმწიფო მდივნის მაიკ პომპეოსა და უეს მიტჩელის ბოლოდროინდელი განცხადებები.

„თქვენ ყველამ იცით ჩვენი დამოკიდებულება. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთის რეგიონი რუსეთის მიერაა ოკუპირებული. ისინი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და ამერიკა აგრძელებს საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში“, — განაცხადა ბრინკმა და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის განმავლობაში საქართველოსთან ურყევ პარტნიორობაზე ისაუბრა. მისი თქმით, ამერიკამ 1992 წლის შემდეგ ქვეყანას 4.5 მილიარდი დოლარის ოდენობის დახმარება მისცა. ბრინკმა ხაზი გაუსვა საქართველოს წვლილს გლობალური უსაფრთხოებისთვის ბრძოლის მისიებში და ნატოსთან პარტნიორობას.

„რუსეთის მავნე გავლენა ევროპაში მოითხოვს დასავლეთის ერთიანობას და ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ერთად იმისთვის, რომ დავუპირისპირდეთ ჩვენს დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და საზოგადოებაში რუსეთის მიერ „ხელების ფათურის“ მცდელობას“, — განაცხადა ბრინკმა და გამხსნელ სიტყვაში საქართველოში რეფორმების გაგრძელების აუცილებლობაზეც ისაუბრა.

„საქართველო ყოველთვის იყო ლიდერი დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების გატარების მიმართულებით. მაგრამ ჯერ კიდევ მეტია გასაკეთებელი, განსაკუთრებით კი მედია და პოლიტიკური პლურალიზმის მიმართულებით, ისევე როგორც მთავრობის ზედამხედველობის მიმართულებით. ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს მედიაგარემოს გამჭვირვალობას, რადგან მედია პლურალიზმი არის საქართველოს დემოკრატიისთვის ღირსება და არა პოლიტიკური საფრთხე“, — აღნიშნა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა. მისივე განმარტებით, საჭიროა რეფორმები ბიზნესგარემოსა და სასამართლო სისტემის გაუმჯობესებისთვისაც.

„ბიზნესგარემო შეიძლება, გაუმჯობესდეს, როგორც არსებული ისე მომავალი ინვესტორებისთვის, სხვადასხვა რეფორმების გატარებით. სასამართლო რეფორმა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი. კერძო სექტორი კვლავ არ არის ბოლომდე დარწმუნებული, რომ ფინანსური დავები გადაწყდება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად“, — აღნიშნა ბრიჯიტ ბრინკმა.

ეკა მაღალდაძე

ბრიტანეთს ელისაბედ II-ის გარდაცვალების შემდეგ ქაოსი ელოდება

პროგნოზის თანახმად, ქვეყნის ფინანსური კრიზისი, დედოფალ ელისაბედ II-ის გარდაცვალების შემდეგ, შეიძლება შევადაროთ მეორე მსოფლიო ომის შედეგებს.

ელისაბედ II ტახტზე მემკვიდრეობით 1952 წელს ავიდა. ბრიტანეთში მისი მეფობის დროს შეიცვალა 13 პრემიერ-მინისტრი, ხოლო აშშ-ში — 13 პრეზიდენტი. ახლა დედოფალი 92 წლისაა.

ვარაუდობენ, რომ დედოფლის გარდაცვალების შემდეგ, 12 დღის განმავლობაში ბრიტანეთში ყველანაირი ცხოვრება შეჩერდება, რაც ქვეყანას მილიარდობით ზარალს მოუტანს. სავალუტო ბაზრები და ბანკები, სავარაუდოდ, დაიხურება. დაკრძალვა და შემდგომი კორონაცია იქნება საზოგადოებრივი უქმე დღეები, რომელიც ასევე ძვირი დაუჯდება ქვეყნის ბიუჯეტს. დიდი ბრიტანეთის ხალხის უმეტესობას დედოფლის გარეშე არასოდეს უცხოვრია. ალბათ, მისი გარდაცვალების შემდეგ BBC შეაჩერებს ყველა კომედიურ შოუს. გარდა ამისა, შესაძლოა, შეიცვალოს ქვეყნის ეროვნული ჰიმნის ტექსტიც.

გაერო: 2028 წლისთვის მსოფლიოს უმსხვილესი მეგაპოლისი დელი იქნება

2028 წლისთვის დელი მსოფლიოს უმსხვილესი მეგაპოლისი გახდება და უკან ჩამოიტოვებს ამჟამინდელ რეკორდსმენს ტოკიოს, — აღნიშნულ პროგნოზს გაერო აკეთებს.

ინდური აგლომერაცია, ნიუ-დელის ჩათვლით 37,2 მლნ ადამიანს მიაღწევს.

ამ დროისათვის ტოკიოში აგლომერაციის რაოდენობა 37 მლნ ადამიანია, ხოლო მის შემდეგ მოდის დელი 29 მლნ ადამიანით და შანხაი — 26 მლნ ადამიანით.

გაეროს პროგნოზით, 2020 წლიდან იაპონიის დედაქალაქში მოსახლეობა კლებას დაიწყებს, ხოლო ამ პერიოდში დელიში პირიქით ზრდა იქნება. შესაბამისად დელიში 2028 წლისთვის ყველაზე მეტი ადამიანი იცხოვრებს.



...აქ ყველგან მაინც ღმერთი მონაწილეობს“



გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმმა რეზო (ემელიანე) ადამიას პერსონალურ გამოფენას — „კოსმიური უშუალობაა გალაკტიონში“, — უმასპინძლა.

მხატვრის ნამუშევრებს 4 დარბაზი დაეთმო. სულ 80-მდე ნახატი გამოიფინა, აქედან 50 ახალი ნამუშევარი იყო.

რეზო (ემელიანე) ადამია: „ჩემთვის ყველაზე დიდი სიყვარული და იდეა იყო გალაკტიონის გენია. ამიტომ თავდადებით ვიმუშავე 4 წელზე მეტხანს. თითქმის ყველა ნამუშევარში არის კოსმიური თემა. გალაკტიონის აღქმა სხვანაირად ძნელია. რაღაც მკარნახობს, უდიდესი სიყვარული, რომელიც მოდის პოეტისგან და ღმერთისგან... აქ ყველგან მაინც ღმერთი მონაწილეობს“.

როგორც გალაკტიონის ძმისწული, პროფესორი **ნოდარ ტაბიძე** აღნიშნავდა, გალაკტიონი ყოველთვის იყო და რჩება ქართული პოეზიის, ქართული ხელოვნების და ფერწერის ობიექტად, მაგრამ სვამდა კითხვას: **„ვინ როგორ აღიქვამს გალაკტიონს? ბევრი კმაყოფილდება მხოლოდ პორტრეტული მსგავსებებით, ცალკეულ ხაზთა მინამგვანებით, ბატონმა რეზომ სულ სხვაგვარად დაინახა გალაკტიონი. იგი მხოლოდ გარეგნული იერით არ კმაყოფილდება, პორტრეტში სულს ეძებს, და არც ამით არ კმაყოფილდება, მას უნდა ახალი დეტალები, ახალი მხარეები, ახალი შთაგონებები ჰპოვოს“...**

გამოფენამ, მართლაც, ეს ახალი დეტალები და მხარეები წარმოაჩინა. ზუსტად უწოდა რეზო (ემელიანე) ადამიას შემოქმედებას აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა — „ფილოსოფია ფერწერაში“.

თოვლიანი პეიზაჟები ჭყვიშსა და იმერეთში, მზის ჩასვლა და ამოსვლა იმერეთსა და ჭყვიშში... — ამ ფერწერულ სილამაზეს, ექსპრესიონისტულ განცდას თან ახლავს მხატვრის კოსმოსური ხედვა... ამ ხედვით ილანდებიან გალაკტიონის ლურჯა ცხენები, ეუფლება სულს „მე და ღამის“ იდუმალება...

გამოფენაზე ყურადღებას იქცევდა რამდენიმე აბსტრაქტული პლანეტარიუმი, რომელიც მხატვრის დიდი სულიერი ენერგიითა და ხედვით გამოირჩეოდა. მხატვარი შეწირული სისხლის გამოხატვით პოეტის სულის დაფარულ შრეებს სწვდება.

„მინდოდა, გალაკტიონის — გენიის წარმოსახვა ფერწერაში გამეცოცხლებინა. ის კოსმოსური განცდა ფერებით გადმომეცა, რაც დიდ გენიას აწვალებდა... პოეტი კოსმოსურმა ემოციებმა იმსხვერპლა, ადამიანურმა სხეულმა კოსმოსურ ღელვას ვეღარ გაუძლო და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.... სისხლმა კოსმოსამდე ააღწია და შეღება. გენიოსი პოეტი დედისთვისაც ამოუცნობი იყო. ერთხელ, 37 წლის გალაკტიონი დედის მოსანახულებლად სოფელში ჩავიდა. დილით შვილის ოთახში შესულმა მაკრინემ უცნაური სურათი დაინახა. იგი ფანჯარასთან იდგა და მზის სხივებს ჰაერში თავდავიწყებით კოცნიდა“... — ამბობს მხატვარი.

რეზო ადამიას თქმით, რუსთაველი თავად რელიგიაა, ხოლო თანამედროვეობის უდიდეს რელიგიად მას გალაკტიონი მიაჩნია.

„გალაკტიონის პოეზიაში დიადი მზე, მაღალი მზე, წმინდა მზე... ღმერთის სახელებია. გვხვდება, აგრეთვე, მზის გარდაცვალება, ლანდად ქცეული მზე, შავი მზე, მკვდარი მზე... „მეფე და მგოსანი“ სამყაროს ესაუბრებოდა და იქნებ, მიღმიერი ცხოვრებითაც ცხოვრობდა, ვინ იცის? “

რეზო (ემელიანე) ადამიას ფერწერა სწორედ ამ მიღმიერს — სამყაროს აბსტრაქტულ შემეცნებას დასტრიალებს თავს და ფერების სიმძაფრით გადმოსცემს სულის ყველაზე იდუმალ და უხილველ შრეებს.

„ბატონო რეზო, გალაკტიონისადმი მიძღვნილ თქვენს ნახატებში ჭეშმარიტად გენიალურადაა წარმოსახული უდიდესი გენიოსი პოეტის ცხოვრების თითქმის ყველა ეტაპი. საოცრად თბილი და „შინაური“ ოდები, მისტიკური გალაკტიონი, საოცარი ფერები, მოვიხიბლე...

მე მქონდა წუთიერი წვდომა სამყაროსთან, სიღრმისეული სულისკვეთება, თითქოს შორიდან ვხედავ დედამიწას“... — წერენ შთაბეჭდილების წიგნში.

სხვები კი ასე გვიზიარებენ გამოფენის შთაბეჭდილებებს:

„გალაკტიონის რთული შინაგანი სამყაროს კოსმიური სივრცე მხატვრის მხოლოდ კოსმიური გონის მიერ აღქმული მისტიკური სიცხადეა“...

„დღეს მე კიდევ ერთხელ ვნახე და შევიგრძენი სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვება, ის, რაც რეზო ადამიამ გონით ხელთქმნილი საგანძური შექმნა, კოსმიურ გენიოსთა ერთობლივი შემოქმედებაა. გალაკტიონის უდიდესი განცდების გადმოტანა ტილოზე ურთულესი ხვედრია და მადლობა, ბატონო“...

„ერთნაირ სულში ერთნაირი მზის შეთავსება... დღეს მე ეს შეთავსება ვიხილე, გალაკტიონისა — სიტყვაში, რეზო ადამიასი — ფერსა და ფორმაში. ეს არის ნამდვილი კულტურული შოკი, მე შოკურ მდგომარეობაში ვტოვებ ამ კოსმიურ გამოფენას“...

„ბარაქალა რეზო, გრძნეული თვალი და სიკეთით სავსე გული გაქვს“...

და ასე, გამოფენის შემდეგ, 80 წლის მხატვრის გრძნეული თვალის არეში ველოდებით რეზო (ემელიანე) ადამიას ახალ წიგნს — „მზის რომანს“... რომელიც, წინასწარ ვიცით, კოსმიურ განცდათა ახალ არეალში გვამოგზაურებს!

თამარ შაიშმელაშვილი

„წარმოაჩინე შენი ბიბლიოთეკა“

პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 5 მაისს გაიხსნა საბიბლიოთეკო კვირეული „წარმოაჩინე შენი ბიბლიოთეკა“. კვირეული გაიხსნა ბიბლიოთეკართა მიერ შექმნილი სახელოვნებო ნიმუშების გამოფენით, რომლის დევიზი იყო „ბიბლიოთეკარი ხელოვანი — 2018“.

ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ საბიბლიოთეკო ასოციაციის თანამშრომელი ინგა ლორია-ფილაური. წინა წლებში ქალბატონმა ინგამ ბიბლიოთეკარები წარმოაჩინა, როგორც პოეტი, პროზაიკოსი; ამჯერად კი ასპარეზი ხელოვან ბიბლიოთეკარებს დაუთმო და მათი ნიჭის გამომზეურებაში დახმარება გაუწია.

გამოფენამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — იყო თბილი და სასიამოვნო საღამო, ბიბლიოთეკარები უკრავდნენ კლასიკურ მუსიკას ვიოლინოს თანხლებით; წარმოდგენილი იყო ბიბლიოთეკართა ხელით შესრულებული ნაქარგობები, ნახატები, სხვადასხვა სუვენირები, რომლებიც დამთვალიერებელთა აღტაცებას იწვევდა. თავად საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა, ქალბატონმა რუსუდან ასათიანმა გამოფენაზე წარმოადგინა ორგინალური და სახასიათო თოჯინები, მათ დამთვალიერებელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს.

გამოფენაზე თავისი ნაქარგობები წარმოადგინა აგრეთვე მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების საბიბლიოთეკო განყოფილების თანამშრომელმა ზეინაბ დიდებაშვილმა, რომელმაც გამოფენის ორგანიზატორთა სერტიფიკატი დაიმსახურა.

კვირეულის ფარგლებში მცხეთის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო ქსელში სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებები და აქტივობები ჩატარდა: ლიტერატურულ-თემატური საღამოები, ახალი წიგნის წარდგენა-პრეზენტაციები, შეხვედრა მხატვარ ალექსანდრე ციხელაშვილთან, „პატარა ბიბლიოთეკარები“ — მკითხველები ბიბლიოთეკარის ამპლუაში წარმოგვიდგნენ და ა.შ. უნდა ითქვას, რომ წლევანდელი კვირეული თემატურად მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ჩვენმა ბიბლიოთეკარებმა თავის მკითხველებს ბევრი ლამაზად ორგანიზებული ღონისძიება აჩუქეს, რითიც დაადასტურეს, რომ ბიბლიოთეკა დღევანდელი პირობების ის შემადგენელი და განუყრელი ნაწილია, რომელიც არა მხოლოდ მოზარდი თაობის, არამედ, ზოგადად , საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას უწყობს ხელს.

ელისაბედ ჩიხლაძე,
მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების საბიბლიოთეკო განყოფილების უფროსი



სახიფათო „ბზრიალა“

სპინერი — ესაა ხელების წვრილი მოტორიკის მშვენიერი სავარჯიშო სათამაშო, რომელიც ბოლო დროს მთელ მსოფლიოში მეტად პოპულარული გახდა. არადა, ახლა ირკვევა, რომ ეს სათამაშო, შესაძლოა, ბავშვების ჯანმრთელობისთვის არცთუ უსაფრთხო იყოს.

ამჟამად ექსპერტები სპინერების ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უსაფრთხოებას ამოწმებენ. კიდევ ერთი პრობლემა თავად სათამაშოს ხარისხი ყოფილა, რომლის არჩევისას მშობლებს სიფრთხილე მართებთ. პირველი მომენტი ისაა, რომ **არავითარ შემთხვევაში სათამაშო ხელზე არ უნდა შეიძინოთ,** ასეთი სათამაშოები შეიძლება დამზადებული იყოს ფორმალდეგიდის შემცველი უხარისხო პლასტმასიდან, ჰქონდეთ მკვეთრი სუნი, საღებავი კი ხელებს სვრიდეს.

გარდა ამისა, **უმჯობესია, არ შეიძინოთ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის მანათობელი ელემენტებისა და პატარა ბატარეებიანი სპინერები,** რადგან მათ წვრილი დეტალების გადაყლაპვა და ამით შიდა დამწვრობის მიღება შეუძლიათ.

კალათბურთი



„ჰიუსტონ როკეტსმა“ ანგარიში გაათანაბრა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დასავლეთ კონფერენციის ფინალში ანგარიში გათანაბრდა. „ჰიუსტონ როკეტსმა“ „გოლდენ სტეიტ უორიორზს“ მშობლიური „ტოიოტა ცენტრიდან“ მეორე გამარჯვება არ გაატანა.

„როკეტსი“ მთელი თამაში სჯაბნიდა მეტოქეს და ოთხივე პერიოდი რომ მოუგო, ეს შემთხვევითობა არ ყოფილა. სხვაობაც სოლიდური გამოვიდა — 127:105. მაიკ დ'ანტონის შეგირდებმა მეტოქე გუნდური კალათბურთის ხარჯზე დაამარცხეს. ჯეიმს ჰარდენმა, პი ჯეი ტაკერმა, ერიკ გორდონმა და ტრევორ არიზამ „მეომრებს“ ჯამში 95 ქულა ჩაუგდეს.

ჰარდენმა 27 ქულა, 10 მოხსნა, გორდონმა 27 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, ტაკერმა 22 ქულა, 7 მოხსნა, 4 პასი, არიზამ 19 ქულა, 6 პასი, 4 მოხსნა, კრის პოლმა კი 16 ქულა, 6 პასი და 4 მოხსნა შესძინეს პარტნიორებს. მაშინ, როდესაც „გოლდენ სტეიტის“ რიგებში კევინ დურანტი 38 ქულით გამოირჩა და მატჩის საუკეთესო კალათბურთელი გახდა. თუმცა, თანაგუნდელებმა მას მხარი ვერ აუბეს. სტეფ კარიმ მხოლოდ 16 ქულა მოუტანა „უორიორზს“, ხოლო კლეი ტომპსონმა 8 ქულით დაასრულა შეხვედრა.

რაც შეეხება ზაზა ფაჩულიას — ქართველ ცენტრს ამჯერად მოედანზე გასვლის საშუალება მიეცა 5 წუთში ჩვენებურმა 5 ქულა, 1 მოხსნა და 1 დაფარება გააკეთა.

ასე რომ, სერიაში ანგარიში გათანაბრდა — 1:1. მომდევნო მატჩი ოკლენდში 21 მაისს გაიმართება.

ვიტალი ჯაფარიძე

64

უნივერსალი

იოსებ კრიხელი (1931-1988) — საჭადრაკო კომპოზიციის საერთაშორისო დიდოსტატი (1984), ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი. დაიბადა ცხინვალში, ცხოვრობდა ქ. გორში.

1947 წლიდან გამოაქვეყნა 900 კომპოზიცია. წარმატებით მუშაობდა კომპოზიციის ყველა ჟანრში. მრავალსვლიან ამოცანებში მოპოვებული აქვს 6 მედალი, მათ შორის ერთი — ოქროსი.

ამოცანების შედგენაში საბჭოთა კავშირის მე-15 ჩემპიონატში (1984) — I ადგილი, მე-10 ჩეპიონატში (1971) — II ადგილი, ხოლო მე-12 ჩემპიონატში (1976) — III ადგილი.

ქართველ ებრაელს იოსებ კრიხელს ღირსეული ადგილი უჭირავს მსოფლიოში სახელგანთქმულ კომპოზიციის ქართველ დიდოსტატებს შორის.

გთავაზობთ ი. კრიხელის შემოქმედებიდან ეტიუდს და მრავალსვლიან ამოცანას.

ი. კრიხელი
1985



მოგება

1. ... მფc5 2. მფb7 a4 3. მფg6 a3
4. მფa5 მფc4 5. მფa4! a2 6. ეc8+ ლა 7. ეc1

ი. კრიხელი
ოლიმპიური კონკურსი, შვეიცარია (1982-83). I პრიზი



შამათი 7 სვლაში

შამათი 7 სვლაში.
1. კc2! მფh3 2. კg6 მფh7 3. კe4 c6
4. კf5 მფh6 5. ეe1! f3 6. კc2 ლა:b3X

მოამზადა თამაზ შენგელია

ფეხბურთი

თასიც, მილიონებიც

მადრიდის „ატლეტიკომ“ 2017-2018 წლების სეზონში ევროტურნირებზე 26 მილიონი ევროს გამომუშავება შეძლო. აღნიშნულ ინფორმაციას პირენეული გაზეთი AS-ი ავრცელებს.

ესპანურმა კლუბმა უეფას ევროპა ლიგის „მარსელთან“ 3:0 მოგებული ფინალიდან 6,5 მილიონი ევრო მიიღო, 1,6 მილიონი ერგო ნახევარფინალიდან, ხოლო მეოთხედფინალში 1 მილიონს მოუყარა თავი.

ყველაზე დიდი თანხა „შავ-წითლებმა“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპიდან მიიღეს, რომლის რაოდენობამაც 16,3 მილიონი ევრო შეადგინა.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში დიეგო სიმეონეს მიერ გაწვრთნილი გუნდი „ჩელსისთან“, „რომასთან“ და „ყარაბაღთან“ ერთად თამაშობდა, სადაც 6 მატჩიდან მხოლოდ 1 მოგებას, 4 ფრეს და 1 წაგებას მოუყარა თავი, რაც მხოლოდ მე-3 ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი. შესაბამისად, „ატლეტიკომ“ ევროპა ლიგაზე გადაინაცვლა და საბოლოოდ ევროპის რანგით მეორე ტურნირის გამარჯვებული მესამედ გახდა.

გიორგი შოთაძე

რაგბი

რუსეთს „მწვანე აუნთეს“

WORLD RUGBY™

„მსოფლიო რაგბის“ საიტზე გამოქვეყნდა სადავო საკითხების დამოუკიდებელი კომიტეტის გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება 2017 და 2018 წლების „რაგბი ევროპის“ ჩემპიონატების სადავო საკითხებს, რამაც, თავის მხრივ, 2019 წლის მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო სიტუაცია შეცვალა.

განაჩენის თანახმად, რუმინეთის, ესპანეთისა და ბელგიის ნაკრებები დისკვალიფიკაციით დაისაჯნენ, რისი მიზეზიც ამ გუნდების შემადგენლობაში ისეთი მოთამაშეების გამოყენებაა, რომლებსაც ამის იურიდიული უფლება არ ჰქონდათ.

შესაბამისად, რუსეთის ნაკრები, როგორც ევროპული კვალიფიკაციის გამარჯვებული, გავიდა 2019 წლის მსოფლიო თასზე და „ა“ პულში შეუერთდა ირლანდიას, შოტლანდიას, იაპონიასა და რეპეშაჟის გამარჯვებულს, ხოლო გერმანიის ნაკრები პორტუგალიას ევროპულ პლეი-ოფში დაუპირისპირდება.

სადავო საკითხების დამოუკიდებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ შეცდომები დაშვებულია „რაგბი ევროპის“ არაკეთილსინდისიერების ფონზე, რის გამოც „მსოფლიო რაგბი“ უკიდურეს შეშფოთებას გამოთქვამს.

ამიერიდან „მსოფლიო რაგბი“ განახორციელებს კონტროლს მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო ციკლის უკლებლივ ყველა მატჩზე და დააკვირდება ოფიციალური პირების ყველა დანიშვნას. „მსოფლიო რაგბი“ ეცდება ამ და სხვა პრობლემების მოგვარებას.

გულშემატკივრებს, რომლებმაც უკვე შეიძინეს 2019 წლის მსოფლიო თასზე რუმინეთის ნაკრების მატჩებზე დასასწრები ბილეთები, ამ ბილეთების დაბრუნების შესაძლებლობა ეძლევათ.

სხვა კომენტარი არ გაკეთდება, ვიდრე არ დაიხურება აპელაციისთვის გახსნილი 14-დღიანი ფანჯარა.

კობა კობახიძე

ინტერნეტიდან

კოლუმბიელი ქალი - ლეგენდა

ყოველგვარი ზედმეტი სიტყვათცვეთის გარეშე წარმოგიდგენთ 33 წლის დიდებულ ლამაზმანს — ანდრეა სერნა სალაზარს, რომელიც გახლავთ ცნობილი მოდელი, ტელეწამყვანი, რეპორტიორი , დიასახლისი, რადიოს დიჯეი, სატელევიზიო პროდიუსერი და კოლუმბიის საფეხბურთო ნაკრების თილისმა.

რაღა დაგიმალოთ და ჩვენ კიდევ შეგვეძლო ამ ქარაშოტივით დიაცის საქმიანობებისა და წოდებების ჩამოთვლა, მაგრამ ფაქტია, რომ მისი წარმატების საიდუმლო მხოლოდ რეგალიებში არ იმალება და ამ ტიტულმრავალი მდედრის უკან ნამეტნავად მონდომებული, მრავლისმნახველი და გაცვეთილი ვინმე იმალება.

იგი დაიბადა პატარა ქალაქ არანჟაზეში, გაიზარდა სანტიაგო დე-კალისში, ცხოვრობდა დედაქალაქ ბოგოტაში და დღეს ამერიკაში, ფლორიდაში ისე კოხტადაა წამოდრანგული იქაურ პლაჟებზე, კაცი იტყვის, ჭიპი შეერთებულ შტატებში მოუჭრიაო. რაც მართალია, მართალია — მაგარი ქალია!

როსტომ რაჭველიშვილი

ფოტოზე შერჩენილი ახალგაზრდობა

ჯუმბერ ბეთაშვილი ჟიული შარტავას გვერდით დაეცა!..

ეს სურათი აფხაზეთში ძმათამკვლელ ომამდეა გადაღებული, როცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას თითქოს არაფერი ემუქრებოდა. ვცხოვრობდით ძმურად, ტკბილად, ლაღად ვსუნთქავდით „მეგობრული ჟანგბადით". ვის მოუვიდოდა აზრად, რომ ქართველი აფხაზს ესროდა, ხოლო აფხაზი — თავმოჭრილი ქართველის თავით „ფეხბურთს" ითამაშებდა. მაგრამ როგორც ქართველი, ისე აფხაზი, უთავო პოლიტიკოსების სიბეცით მოხდა ის, რაც მოხდა, რაც არამც და არამც არ უნდა მომხდარიყო!..

როცა მტრები ერთმანეთს ებრძვიან, იქ სულ სხვა ფერის სისხლი იღვრება, ქართველ-აფხაზთა ამ სამარცხვინო ჩხუბში (ომს ვერ დავარქმევთ!), რომელშიც რუსის წამქეზებლური, შორსგამიზნული ხელი ერია, გასისხლიანებული მრავალსაუკუნოვანი სიყვარული წითლად ღებავდა ჩვენს საერთო მიწა-წყალს. აქ გმირობის კლასიკურ გაგებაზე ლაპარაკი როგორც ქართველთა, ისე აფხაზთა მხრიდან, ნამდვილად სწორი არ იქნება. აქ გმირები ის ქართველები და აფხაზები იყვნენ, ვინც გრძნობდა, რომ მესამე ანგარიშიანი ძალის მიერ შეგულიანებული და შეცდენილი იყო და იმ მესამე ძალისკენ უფრო ისროდა, ვიდრე თავისი ისტორიული მოძმისკენ, რომელთაგანაც ერთად ხვალ თუ არა, ზეგ ისევ უნდა განეგრძო სიყვარულით სავსე თანაცხოვრება... ერთ-ერთი ასეთი ქართველი გმირი იყო **ჯუმბერ ბეთაშვილი,** რომელიც ამ სურათზე მარცხნიდან მეორეა აღბეჭდილი.

ჯუმბერი სოხუმში სამოღვაწეოდ სიყვარულმა ჩაიყვანა და არა მტრობამ და სიძულვილმა. ცხადია, აფხაზთა მხრიდანაც იყვნენ ჯუმბერ ბეთაშვილები, რომელთაც გულის სიღრმეში გადამალული ძველი სიყვარული უბორკავდა ჩახმახისკენ წაღებულ ხელს.

ასე რომ, ამ ეგრეთ წოდებულ ძმათამკვლელ ომში, რაც მთავარია, სწორედ სიყვარული არ მომკვდარა და მხოლოდ სიძულვილი განადგურდა საბოლოოდ.

ერთი სიტყვით, როგორც ქართველი, ისე აფხაზი ჯუმბერ ბეთაშვილები ძმათა შორის სხვათაგან თავს მოხვეული სიძულვილის დამმარცხებელი და ძმათა შორისვე ჯერჯერობით მბჟუტავი სიყვარულის გადამრჩენელი გმირები არიან.

ახლა მთავარია ამ მბჟუტავი სიყვარულის ძველებური ჟინით გაღვივება, აი, ამისთვის იბრძოდა ჯუმბერ ბეთაშვილი, ამიტომ არის ის ქართველ-აფხაზთა გმირი, რომელიც ასევე ჩვენი ეროვნული გმირის — ჟიული შარტავას გვერდით დაეცა!

დგანან: თამაზ გუნჯუა, ჯუმბერ ბეთაშვილი, ნუგზარ ახვლედიანი, ოთარ ბასილაშვილი, ლევან კალანდაძე, თენგიზ მაჩალაძე, თამაზ სანებლიძე, როდამ ჭელიძე, მერაბ მარგველაშვილი; ჩაცუცქულები: ოთარ ფრანგიშვილი, ნუგზარ ჩანტლაძე, ზურაბ ჩაჩხიანი, ფოტოგრაფი (მძღოლი).

სურათი გადაიღო რუსლან რუხაძემ

ჩვენი კარაბადინი

...და გამუდმებული კონტროლი

ბოლო ათწლეულების მანძილზე გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს სავალალო ლიდერობა უკავიათ სიკვდილიანობის მიზეზთა შორის. ამასთან, ექიმები გვაფრთხილებენ, რომ მათი წარმოშობის რისკი და მიმდინარეობა პირდაპირ კავშირშია არტერიულ წნევასთან.

ამიტომაცაა, რომ უკლებლივ ყველამ, განსაკუთრებით კი 40 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, არტერიული წნევის დონე უნდა აკონტროლოს და, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, მის ნორმაში მოსაყვანად სათანადო ზომები მიიღოს.

საქმე ისაა, რომ ინფარქტისა და გულის უკმარისობის ჩამოყალიბების გარდა, მაღალი წნევა კიდევ სხვა დაავადებათა განვითარების საფრთხეს წარმოადგენს. იგი თავის, თვალებისა და თირკმლების სისხლძარღვებს აზიანებს, რის შედეგად მძიმე, ხშირად შეუქცევადი დარღვევები წარმოიშობა ხოლმე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ წნევა აუცილებლად გამუდმებით უნდა აკონტროლოთ, რადგან წნევის მომატება ხშირად სრულიად უსიმპტომოდ ხდება. სწორედ ამიტომაც გვირჩევენ მედიკოსები, რომ არტერიული წნევის საზომი აპარატი — **ტონომეტრი** — ყველა ოჯახში უნდა იყოს, თანაც ის არა მხოლოდ მაშინ უნდა მოიხმაროთ, როცა თავს ცუდად გრძნობთ, არამედ რეგულარულად. თანაც, ცხადია, საჭიროა ამ ხელსაწყოს სწორად მოხმარების ცოდნა:

— არტერიული წნევის გაზომვა საჭიროა ყოველთვის ერთსა და იმავე დროს;

— გაზომვის ჩატარებისას სკამის ზურგს უნდა ეყრდნობოდეთ;

— გაზომვა უნდა ჩაიტაროთ საკვებისა და წამლების მიღებამდე და ფიზიკურ დატვირთვამდე, ანდა ჩამოთვლილი პროცედურებიდან 1,5 საათის შემდეგ;

— უნდა ხმარობდეთ მხოლოდ შესატყვისი ზომის მანჟეტს;

— ყურადღება მიაქციეთ, რომ მანჟეტი, ან მაჯის ტონომეტრი გულის დონეზე გქონდეთ დამაგრებული, მისი ქვედა კიდე კი 1,5-2 სანტიმეტრით იდაყვს ზევით უნდა იყოს;

თუკი პირველი გაზომვის მონაცემები ნორმას ასცდა, 1-3 წუთის ინტერვალით წნევა კიდევ ორჯერ გაიზომეთ და საშუალო არითმეტიკული გამოითვალეთ. თქვენი წნევის უტყუარი მაჩვენებელიც სწორედ ეს იქნება.

წნევის გაზომვის დროს არ შეიძლება:

— ლაპარაკი და ღრმად სუნთქვა;

— ფეხების გადაჯვარედინება;

— ხელის დაძაბვა;

— მანჟეტის სქელი სამოსელის ზემოდან დამაგრება, საჭიროა მკლავის მოშიშვლება.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

გორში იეჰოვას მოწმეების სამლოცველოს იარაღიდან ესროლეს

გორში იეჰოვას მოწმეების სამლოცველოს, „სამეფო დარბაზს" თავს დაესხნენ. 16 მაისს, ღამით დაუდგენელმა პირებმა ცეცხლსასროლი იარაღიდან სამლოცველოს კარს ესროლეს, გარდა ამისა, კედლებზე დატოვეს წარწერები „იწამე ღმერთი ჩვენი". მომხდარით ფაქტით „ადამიანის უფლებათა ცენტრი" დაინტერესდა და პირველი ინფორმაცია გაავრცელა.

ეს შემთხვევა გორში, იეჰოვას მოწმეების რელიგიურ საქმიანობაში ხელის შეშლის პირველი შემთხვევა არ არის. ორი თვის წინათ „სამეფო დარბაზის" გალავანზე ჯვრები გამოსახეს. ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურას, ჩაატაროს ეფექტური გამოძიება, გამოკვეთოს სიძულვილისა და დისკრიმინაციის მოტივი, გამოავლინოს დამნაშავეები და დასაჯოს ისინი კანონის სრული სიმკაცრით, — ვკითხულობთ ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ავტომობილი რიყის პარკში გადავარდა

თბილისში, ბარათაშვილის აღმართზე „ჰონდას" მარკის მსუბუქი ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა, ჯებირი გაარღვია და რიყის პარკში გადავარდა.

მომხდარის შედეგად ავტომობილში მჯდომი პირი არ დაშავებულა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, მსუბუქი ავტომობილის მძღოლს უკნიდან ცემენტმზიდი შეეჯახა, რის გამოც საჭე ვერ დაიმორჩილა და ინერციით გზიდან გადავარდა.

სალაშქრო ბილიკები ტურისტებისთვის

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია საქართველოს რეგიონებში სალაშქრო ბილიკების განვითარებას აგრძელებს. ბოლო 3 წელიწადში ადმინისტრაციამ საქართველოს 8 რეგიონი შეისწავლა და მოიკვლია 190-მდე სალაშქრო ბილიკი.

მოკვლევის პარალელურად ბილიკების მონიშვნა და ონლაინ სივრცეში გადატანა ხდება. 2016-2017 წლებში, სამეგრელოზემო სვანეთისა და რაჭა ლეჩხუმი - ქვემო სვანეთის რეგიონებში 33 ბილიკი მოინიშნა. შეიქმნა 60-ზე მეტი მარშრუტი. მონიშნული ბილიკების საერთო სიგრძემ 722 კმ შეადგინა.

ყველა ბილიკი ქართული, ეროვნული სტანდარტის მიხედვით შეიქმნა, რომლიც 2015 წელს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ პარტნიორ

ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ჩამოაყალიბა. სალაშქრო ბილიკების შექმნისა და მონიშვნის პარალელურად ინფორმაცია ბილიკების ქსელის შესახებ ინტერნეტსივრცეში განთავსა.

ეს არის სათავგადასავლო მარშრუტებისათვის შექმნილი სპეციალური საიტი, რომელზეც ამჟამად ატვირთულია 8 მილიონ 400 ათასზე მეტი ბილიკი მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ჰყავს 3 მილიონ 600 ათასზე მეტი დარეგისტრირებული მომხმარებელი. Wikiloc-ს ავტომატური სინქრონიზაცია აქვს Google Earth-თან, ანუ საქართველოს ბილიკები მსოფლიოში უდიდეს პლატფორმაზეც გამოჩნდება, რაც კიდევ უფრო გაადვილებს მათ პოპულარიზაციას და საქართველოში მეტი მოგზაურის მოზიდვას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ცაგერში ნაპოვნი დათვის ბელი თბილისის ზოოპარკს მიბარდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმაც მოქალაქის მიერ ნაპოვნი დათვის ბელი თბილისის ზოოპარკს მიაბარეს.

ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ოყურედან მოქალაქემ დარეკა, რომელმაც განაცხადა, რომ ტყის პირას დათვის ბელი იპოვა. გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების განყოფილების თანამშრომლები მითითებულ ადგილზე დაუყოვნებლივ გავიდნენ და დაახლოებით 2 თვის ასაკის, საქართველოს წითელი ნუსხით დაცული მურა დათვის სახეობის ბელი იპოვეს. ბელს არავითარი დაზიანება არ აღენიშნებოდა.

მისი ასაკიდან გამომდინარე, ბელის ველურ ბუნებაში გაშვება მიზანშეწონილი არ იყო. დეპარტამენტის თანამშრომლებმა ბელი ცაგერიდან თბილისში ჩამოიყვანეს და ზოოპარკს მიაბარეს.

თბილისის ზოოპარკი დათვების რეაბილიტაციის პროგრამას ახორციელებს. რაც დათვებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას გულისხმობს, რომელშიც მათ ბუნებრივი ქცევის გამოხატვის მაქსიმალური შესაძლებლობა აქვთ. ხოლო, როდესაც მიბარებული დათვის ბელი მზად იქნება, მოხდება მისი ველურ ბუნებაში დაბრუნება.

მექსიკურმა კომპანიამ ფეხბურთელების ნიღბების გაყიდვა დაიწყო

FIFA-ს 2018 წლის მსოფლიო თასის დაწყებამდე რამდენიმე დღე დარჩა. მალე ფეხბურთის ვარსკვლავები რუსეთში შეიკრიბებიან.

კომპანიები კი მსოფლიო თასის დიდი ბაზრის ასათვისებლად საინტერესო გზებს მიმართავენ.

ერთ-ერთმა მექსიკურმა კომპანიამ ცნობილი ფეხბურთელების ლატექსის ნიღბების გაყიდვით დიდი შემოსავალი უკვე მიიღო.

ქალაქ კუერნაკაში მდებარე კომპანიამ 12 ფეხბურთელის ნიღბების გაყიდვა ესპანეთში, საფრანგეთში, ამერიკასა და რუსეთში დაიწყო.

ნიღბების ღირებულება, რომლებმაც უკვე დიდი დაინტერესება გამოიწვია, 13 დოლარია.

გასაცინებელი ა(მ)ბები

ქრთამი

— როგორ არ შეგრცხვათ, რომ ქრთამად 500 ზლოტი გამოართვით?

— შემრცხვა, მაგრამ რა მექნა, როცა მეტი არ ჰქონდა.

ანდერძი

— პან ნოტარიუსო, თუ შეიძლება, კიდევ ერთი პუნქტი შემატანინეთ ჩემს ანდერძში: ჩემს დაკრძალვაზე მინდა, რომ ორკესტრი უკრავდეს.

— კი, ბატონო, შევიტანოთ ეგ პუნქტიც. მაგრამ იქნებ ბარემ ისიც ჩავწეროთ, რისი მოსმენა გინდათ?

მცირელიტრაჟიანი აქლემი

— თქვენი აქლემი ძალიან პატარაა.

— მერე რა! სამაგიეროდ, ეკონომიურია. 50 კილომეტრზე 1 ლიტრი წყალი ჰყოფნის.

აღიარება

— ძალიან ვწუხვარ, ძვირფასო, რძის შეჭამანდი ძირზე მიმეწვა. ოცდათი წლის მანძილზე ეს პირველად მომივიდა.

— ნუ დარდობ, ძვირფასო, ბოლოს და ბოლოს, უნდა გაგიმხილო, რომ რძის შეჭამანდს საერთოდ ვერ ვიტან.

საჩუქრები

— დარწმუნებული ვარ, ორი ერთნაირად მოაზროვნე ადამიანი არ არსებობს.

— ნამდვილად არ დაიჯერებდი და მაგას არ იტყოდი, რომ გენახა დაბადების დღეზე რა საჩუქრები მივიღე.

კუდიანები

— ბებო, ბებო, მითხარი ერთი, კუდიანები ჰაერში დაფრინავენ?

— ეგ კუდიანები, შვილო, საერთოდ არ არსებობენ.

— ეგ ვიცი. მაგრამ დაფრინავენ თუ არა?

ქრთამისთვის

— რატომ მოხვდი ციხეში?

— ქრთამის გამო.

— მერე ასე მალე როგორ გამოგიშვეს?

— ქრთამის გამო.

დალტონიზმი

— მამიკო, ეს რა კენკრაა?

— ეს შავი მოცხარია, შვილო.

— მაშ წითელი რატომ არის?

— იმიტომ, რომ ჯერ მწვანეა.

ანგელოზი

— მამა, ანგელოზი რა არის?

— ანგელოზი ქვეითად მოსიარულეა, შვილო, რომელიც ძალიან გვიან გასხლტა.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4344; ევრო - 2.9016;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2962;
100 რუბლი - 3.9292; თურქული ლირა - 0.5512;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4398;
1000 სომხური დრამი - 5.0152.

ამინდი 18 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +11,	დღე +30
მთიანი რაიონები -	ღამე +7,	დღე +27
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +12,	დღე +30
მთიანი რაიონები -	ღამე +8,	დღე +28
თბილისი:	ღამე +16,	დღე +29

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge